ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 12 სექტემბერი, 2017 №216 (7451) ფასი: 50 თეთრი

„მიწა და ნებისმიერი სხვა ეკონომიკური აქტივი კერძო მფლობელობაში უფრო ნაყოფიერად გამოიყენება, ვიდრე სახელმწიფო საკუთრებაში“

გვ.5



12 სექტემბრიდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




# არსენ ავაკოვი: „სააკაშვილის დაკავებას დიდი დრო დასჭირდება“

გვ.2







„ჩვენ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, მოვუწოდებთ მათ, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ პოლიტიკურად მოტივირებული დევნა მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ, დევნა, რომელიც ვლადიმირ პუტინის მიერ არის დაკვეთილი“

## მირიან მირიანაშვილი: „სამ-ოთხ დღეში სააკაშვილი სრულად გაფარჩაკდება“

გვ.3



გვ.3



## ნიკა მელია: „კეზერაშვილმა მილიონები ყაჩაღობით იშოვა და კორუმპირებულ უგულავას პარტიას აფინანსებს“





გვ.4



## შალვა შავგულიძე: „ვენეციის კომისია ხელისუფლებას მოუწოდებს, ეს კონსტიტუცია არ მიიღოს“

„ოპოზიციისგან არავითარ ულტიმატუმს ადგილი არ ჰქონია“

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## გიორგი ვაშაძე: „როგორც ჩანს, დავით კეზერაშვილი ბიძინა ივანიშვილთან დალაგდა და მასთან ერთად აკეთებს ფულს“

გვ.4



გვ.6



## „ქართული კომპანიები დიდ პროექტებში საერთაშორისო მოთხოვნებს მთლიანად ვერ აკმაყოფილებენ“

# არსენ ავაკოვი: „სააკაშვილის დაკავებას დიდი დრო დასჭირდება“

შორენა მარსაგიშვილი

უკრაინასა და საქართველოში ფაქტიურად საგანგებო მდგომარეობაა. განსაკუთრებით შავ დღეში ოფიციალური კიევია, რომელსაც უკრაინის ტერიტორიაზე შეჭრილმა სააკაშვილმა შესაძლოა სერიოზული პრობლემები შეუქმნას. ექსპერტები არც ახალი მაიდნის მოწყობას გამორიცხავენ.

უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო სააკაშვილის სტუმრობით უკმაყოფილო დარჩა. მან ოდესის ყოფილი გუბერნატორი საზღვრის დარღვევაში დაადანაშაულა. მისი თქმით, საზღვრის ნებისმიერ დამრღვევს უნდა დაეკისროს მკაფიო სამართლებრივი და იურიდიული პასუხისმგებლობა.

– ინციდენტი, რომელიც 10 სექტემბერს უკრაინის საზღვარზე, „შეგინის“ გამშვებ პუნქტთან მოხდა, არანაირ პოლიტიკურ კომენტარს არ საჭიროებს, მაგრამ უნდა გავაკეთოთ კომენტარი სამართლებრივი კუთხით.

26 ივლისს გამოვეცი ბრძანება, რომლითაც სახელმწიფო საემიგრაციო სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მიხეილ სააკაშვილს შეუჩერდა უკრაინის მოქალაქეობა. ამ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო გაყალბებული ინფორმაცია. პრეზიდენტს ასეთ დროს სხვა გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია. ყველა ქვეყანაში პირს აქვს უფლება, გაასაჩივროს სასამართლოში ნებისმიერი ნორმატიული აქტი. მე, როგორც პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, სასამართლოს ნებისმიერ გადაწყვეტილებას შევასრულებ. თვენახევარი გავიდა, მაგრამ სასამართლოსთვის არავის მიუმართავს, ამის ნაცვლად ჩადენილია დანაშაული.

ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ არღვევს საზღვარს – მებრძოლები აღმოსავლეთით თუ პოლიტიკანები დასავლეთით. უნდა დაეკისროს მკაფიო სამართლებრივი და იურიდიული პასუხისმგებლობა. იმედი მაქვს, ეს ბატონი ისეთივე შეუპოვრობით შეიჭრება საქართველოში, როგორითაც უკრაინაში მოხვედრას ცდილობდა, – განაცხადა საგანგებო ბრიფინგზე პეტრო პოროშენკომ.




საგანგებო პრესკონფერენცია გამართა შეჭრილმა სააკაშვილმაც. ის კატეგორიულად უარყოფს, რომ მან სახელმწიფო საზღვარი უკანონოდ გადალახა.

– უკრაინის ტერიტორიაზე არ შევჭრილვარ, ჩემმა მომხრეებმა ხელში ამიტაცეს და ასე გადამიყვანეს უკრაინის ტერიტორიაზე, – აღნიშნა სააკაშვილმა.

ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორი სამართალდამცავებს იქეთ უყენებს პრეტენზიას და ამბობს, რომ მას პასპორტი მოპარეს.

– როცა ხალხმა, ჩემ დაუკითხავად, შემიყვანა უკრაინაში, პასპორტი ავტობუსში დამრჩა. მოვიდა პოლიცია, გაჩხრიკეს ავტობუსი და ჩემი პასპორტი მომპარეს. ახლა პასპორტი მათთანაა, – თქვა ექს-გუბერნატორმა.

მის ბრალდებებს ლვოვის საოლქო პოლიცია საგანგებო განცხადებით გამოეხმაურა. ისინი პასპორტის მოპარვის ფაქტს არ ადასტურებენ.

– პოლიციელების მიერ პასპორტის ჩამორთმევის შესახებ გაჟღერებული განცხადება ეწინააღმდეგება იმ გარემოებებს, რაც მოხდა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტ შეგინში უკრაინის საზღვარზე რამდენიმე პირის უკანონოდ გადაყვანისას. კერძოდ, გუშინ, მასობრივი ღონისძიებების დროს, გამშვებ პუნქტ შეგინში პოლიციელები იცავდნენ საჯარო უსაფრთხოებასა და საყოველთაო წესრიგს. ამავე დროს, პოლიციას არ ჩამოურთმევია იმ პირის პასპორტი, რომელმაც ამის შესახებ განაცხადა, – ნათქვამია ლვოვის საოლქო პოლიციის განცხადებაში.



ჩვენებურის ქმედებები უკრაინის შს მინისტრმა არსენ ავაკოვმაც დაგმო. მან სააკაშვილი გამოკითხვაზეც დაიბარა, მაგრამ ბოლომდე ვერიარსენამარაბდელა და, სავარაუდოდ, ნაპრეზიდენტალის დაკავებას არ აპირებს. საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ამას დიდი დრო დასჭირდება.

– ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ კანონის ყველა პუნქტს. როგორც ადამიანს, ალბათ შემეძლო სხვანაირად მოვქცეულიყავი, მაგრამ როგორც შს მინისტრს, სხვა ვარიანტი არ მაქვს გარდა იმისა, რომ გამოვიჩინო თავშეკავება და წავიდე მკაცრად კანონის პროცედურებით. საზღვრის დაცვის სამსახურმა მიმართა სასამართლო ინსტანციას, რომ დაფიქსირდეს სააკაშვილის მიმართ საზღვრის დარღვევის ფაქტი – ადმინისტრაციული კოდექსი პუნქტი 204, ამის შემდეგ სხვა პრეტენზიები გამოჩნდება.

ამ ფორმითვე იქნება კვალიფიცირებული მისი აქ ყოფნა, რაღა თქმა უნდა, ეს დიდ დროს წაიღებს, ვიდრე ეს შეიძლება ვინმეს უნდოდეს, განსაკუთრებით მათ, ვისაც სურს, რომ ამ კანონიერ გზას ემოციურად მივუდგეთ, – ამბობს უკრაინის შს მინისტრი.

ხმაურიანი დაკავება, სავარაუდოდ, არ შედგება, სამაგიეროდ, რადას რამდენიმე დეპუტატი დარჩება მანდატის გარეშე. სააკაშვილს საზღვარზე შემოჭრისას რამდენიმე დეპუტატი ედგა გვერდით, მათ შორის იულია ტიმოშენკო. მათი ქმედება კანონდარღვევად შეფასდა და მათ შესაძლოა დეპუტატის მანდატები დააყრევინონ.

არსენ ავაკოვის თქმით, დაწყებულია გამოძიება უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით, რაც სახელმწიფო საზღვარზე პირების უკანონოდ გადაყვანას გულისხმობს, ასევე, ადგილობრივი შსს-ის ინფორმაციით, ინციდენტი სისხლის სამართლის კოდექსის 348-ე მუხლის დანაშაულის ნიშნებსაც შეიცავს.

შექმნილი ვითარება არც უკრაინის გენერალურ პროკურორ იური ლუცენკოს მოსწონს. არადა რამდენიმე წლის წინ ის სააკაშვილთან, ვანო მერაბიშვილთან და სხვა მსხვილი კალიბრის ნაციონალებთან მეგობრობდა.

**„ჩვენ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, მოვუწოდებთ მათ, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ პოლიტიკურად მოტივირებული დევნა მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ, დევნა, რომელიც ვლადიმირ პუტინის მიერ არის დაკვეთილი“**

ახლა ლუცენკო ამბობს, რომ ოდესის ყოფილი გუბერნატორის მომხრეები უკრაინის სახელმწიფოს ანადგურებენ.

უკრაინის გენერალური პროკურორის განცხადებით, თუ სააკაშვილს სურს პეტრო პოროშენკოს გადაწყვეტილების გასაჩივრება, მან სასამართლოს უნდა მიმართოს საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილივით.

მისი შეფასებით, ძალადობრივი სცენარის განვითარება იმედს მისცემს ყოფილი პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის მხარდამჭერებს. ეს რომ არ მოხდეს, უკრაინის გენერალური პროკურორი პირობას დებს, რომ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ორგანიზატორები და წამქეზებლები პასუხისმგებლობაში იქნებიან მიცემული.

მისი თქმით, ახლა ბევრი რამე უკრაინის მოსახლეობაზეა დამოკიდებული.

– უკრაინის სახელმწიფოებრიობის პერსპექტივა იმაზე იქნება დამოკიდებული, დაუჭერს თუ არა ამას [სააკაშვილის მიერ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას] მხარს უმაღლესი რადა და საზოგადოება. უფლების ძალა მისი სტაბილურობის ფუნდამენტია, ხოლო ძალის უფლება კრიტიკული საფრთხეა მისი არსებობისთვის, – დაწერა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ლუცენკომ.

* * *

საქართველოს ხელისუფლება სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობს და ისე უჭირავს თავი, თითქოს სააკაშვილი მართლაც რადარებიდან არის გამქრალი.

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ღმერთს მადლობას სწირავს იმისთვის, რომ ნაპრეზიდენტალი საქართველოს პრობლემა აღარ არის.

დეპუტატი გედევან ფოფხაძის შეფასებით კი, ოდესის ექს-გუბერნატორი არის ავანტიურისტი, რომლის ადგილი ციხეშია.

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა სააკაშვილი მართლმსაჯულების წინაშე წარდგეს.

– სააკაშვილი არის ჩვეულებრივი ავანტიურისტი. ამიტომ ის ფორმები და მეთოდები, რომელთაც ის ირჩევს, როგორც წესი, მიმართულია არეულობებისკენ. არც სამართლებრივი და არც მორალური ჩარჩოები მას პოლიტიკური საქმიანობის დროს არა აქვს.

მე მიმაჩნია, რომ ჩვენი, ქართული სახელმწიფოს, ვალდებულებაა, გაკეთდეს ყველაფერი, რათა ის წარდგეს მართლმსაჯულების წინაშე. მისი ადგილი, ჩემი აზრით, არის ციხეში და არა პოლიტიკაში; აქეთ-იქით კი არ უნდა ხტუნაობდეს, ის უნდა იჯდეს, სადაც ეკუთვნის ადგილი, გამომდინარე დანაშაულებრივი სისტემის შექმნიდან, რომლის ავტორი იყო ასობით, ათასობით ადამიანის წამების და სისხლის სანაცვლოდ, – ამბობს ფოფხაძე.

მისი თქმით, დღეს ციხეში ისეთი ადამიანები სხედან, ვისაც სააკაშვილზე ბევრად ნაკლები დანაშაული აქვთ ჩადენილი.

– თუ იქ ზის ადამიანი, თუნდაც ორი კაცის მკვლელობისთვის, სააკაშვილს უფრო მეტი ჰყავს მოკლული, მეტისთვის აქვს ქონება წართმეული... ვიღაც შეიძლება იჯდეს იმის გამო, რომ ვიღაც გაქურდა, მაგრამ სააკაშვილმა ასობით ათასობით ადამიანი გაქურდა. სააკაშვილზე უფრო დიდი კრიმინალი დღეს ქართულ საზოგადოებას არა ჰყავს, – მიიჩნევს დეპუტატი.

დეპუტატი ემზარ კვიციანი ნაპრეზიდენტალს მხდალს უწოდებს. ამბობს, რომ მას ზესახელმწიფოები მართავენ და მისი ამოცანაა უკრაინის დაშლა.

კვიციანი იმასაც ამტკიცებს, რომ სააკაშვილმა უკრაინის საზღვარი რუსული ფსბ-ს დახმარებით გაარღვია.

– თქვენ იცით, რომ სააკაშვილი მშიშარა, მხდალი პიროვნებაა. ის ნაბიჯსაც არ გადაადგამს, თუ ფსბ-თან არ არის შეთანხმებული. პირველ რიგში გუშინ სააკაშვილს ზურგს უმაგრებდა რუსეთის ფსბ, შემდეგ კი, ზესახელმწიფოები, რომლებიც შეთანხმებული არიან და უკრაინის დაშლა უნდათ, – აღნიშნა კვიციანმა.

ემზარ კვიციანის ვარაუდით, მიხეილ სააკაშვილს არ დააკავებენ.

– გამოვრიცხავ, რომ მიხეილ სააკაშვილი შეიძლება დააკავონ. მას მხოლოდ მაშინ დააკავებენ, თუ 10-15 კაცი გამოვა და იტყვის სიმართლეს მასზე, მაშინ შეიძლება დააკავონ და გაწირონ რუსებმა, მანამდე არასოდეს მას თითს არ დააკარებენ, – აღნიშნა დეპუტატმა.

ნაპრეზიდენტალის მშობლიურმა პარტიამ კი მიხეილ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენა მოითხოვა. ნაციონალები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლებამ ეს სასწრაფოდ უნდა გააკეთოს.

– 10 სექტემბერს უკრაინაში დამარცხდა პოროშენკო, მაგ დღეს საქართველოში დამარცხდა ივანიშვილი და გუშინ ევრაზიაში დამარცხდა პუტინი. ეს ტალღა მხოლოდ იკრებს ძალას და აუცილებლად ჩამოვა საქართველოში.

დღეს საქართველოს ხელისუფლებას აქვს ორი არჩევანი; ერთი, მოიქცნენ ისე, როგორც უკრაინაში იანუკოვიჩი იქცეოდა, ისე, როგორც



თავის დროზე საქართველოში ასლან აბაშიძე იქცეოდა, რომელსაც პირადი პატიმრები ჰყავდა და რომელიც არაფრად აგდებდა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებს, ან მოიქცნენ ისე, როგორც იქნება ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის ინტერესებში.

ჩვენ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, მოვუწოდებთ მათ, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ პოლიტიკურად მოტივირებული დევნა მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ, დევნა, რომელიც ვლადიმირ პუტინის მიერ არის დაკვეთილი, – განაცხადა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ზაზა ბიბილაშვილმა.

მისი თქმითვე, დაუყოვნებლივ უნდა აღუდგეს მიხეილ სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობა.

ნაციონალებს ლიდერთან დაკავშირებით კიდევ ერთი მოთხოვნა აქვთ.

– დაუყოვნებლივ მიეცეს მიხეილ სააკაშვილს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დაბრუნების და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მიღების საშუალება, – აღნიშნავს ბიბილაშვილი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნიკა მელია: „კეზერაშვილმა მილიონები ყაჩაღობით იშოვა და კორუმპირებულ უგულავას პარტიას აფინანსებს“

შორენა მარსაგიშვილი



ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთს დაერივნენ. ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ აქამდეც კბენდა ერთმანეთს, მაგრამ ნიკა მელიას განცხადების შემდეგ მათ შორის ვითარება უკიდურესად დაიძაბა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ისინი ერთმანეთზე მალე ბევრ რამეს მოყვებიან.

ცოტა ხნის წინ სასამართლომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი გაამართლა, რასაც, ბუნებრივია, მითქმა-მოთქმა მოჰყვა. გავრცელებული ინფორმაციით, ის „ევროპული საქართველოს“ დამფინანსებელი გახდა.

ეს ინფორმაცია გუშინ, 11 სექტემბერს, ნიკა მელიამაც დაადასტურა. მან ყოფილ თანაგუნდელს ყაჩაღი უწოდა. ტვ პირველის ეთერში მელიამ ისიც კი დაიჩივლა, კეზერაშვილის გამო ფარცხალაძე ვერ დამიგმიაო.

– მორალური უფლება არა მაქვს, გავაკრიტიკო ფარცხალაძე სამართლიანად, როდესაც ვიცი, რომ ასობით მილიონს შოულობს, რადგან იმ პარტიაში, სადაც მე პოლიტიკურ საბჭოს ვხელმძღვანელობ, იყო ადამიანი წლების წინ, რომელმაც სრულიად გაურკვევლად იშოვა მილიონები ყაჩაღობით, ქურდობით და ძარცვით, ახლა კი ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილ „ევროპულ საქართველოს“ აფინანსებს, – აღნიშნა მელიამ.

კეზერაშვილის გარდა, მას თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავაც შემოეკრიტიკა. მელიას თქმით, ნამერალი კორუმპირებულია. არადა იყო დრო, უგულავას უმწიკვლობის მტკიცებაში იყო.

– არასწორია იმის თქმა, რომ ნაციონალური მოძრაობა დაბრუნდება ხელისუფლებაში, რადგან დაბრუნება ნიშნავს, უგულავასთან ერთად რომ მოხვალ, ასევე კორუმპირებულთან. ნაციონალური მოძრაობა აუცილებლად მოიპოვებს ხალხის ნდობას, რადგან მის რიგებში აღარ დარჩნენ მოღალატეები, – განაცხადა ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა.

„ევროპულ საქართველოს“ მელიას ეს განცხადება რეაგირების გარეშე არ დაუტოვებია. პარტიის ლიდერებმა მელიას სულ ევროპული ქოქოლა აყარეს.

პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ოთო კახიძემ ყოფილი თანამებრძოლის განცხადებას ქოცური ნარატივი უწოდა.

– სამწუხარო მოსასმენია არა პოლიტიკური ოპონირება, არამედ „ასავალ-დასავალის“ სტილში ქოცური ნარატივი და ჭორიკნობა, – ამბობს კახიძე.



კახიძემ კბილებით დაიცვა „ევროპული საქართველოს“ დამფინანსებელი. მისი თქმით, კეზერაშვილი უდანაშაული იყო.

– სამართლებრივად დადგენილია, რომ კეზერაშვილის მიმართ წაყენებული იყო ბევრი ცრუ ბრალდება, – აცხადებს დეპუტატი.

მას ნიკა მელიასთანაც აქვს ჩამჭრელი კითხვა და აინტერესებს, რატომ არ გაუყენეს ის მეოცნებეებმა გიგი უგულავას გზას.

– 5 წელია ნიკა მელიას წინააღმდეგ საქმეა აღძრული. მე რომ გამოვიდე და ვთქვა, რომ მელიას არ იჭერენ იმიტომ, რომ ის ივანიშვილთან არის გარიგებული... შეიძლება ასეთ დონეზე დასვლა? არ შეიძლება პოლიტიკის გამო ასეთ დონეზე დახურდავდე, – აღნიშნა კახიძემ.



„ევროპული საქართველოს“ კიდევ ერთი ლიდერი კაკო ბობოხიძე კი მთლად გამოვიდა წყობილებიდან.

მელიაზე გამწარებულმა ბობოხიძემ მთელი ნაციონალური მოძრაობა შეაჩვენა. მისი განცხადებით, ნაციონალური მოძრაობა ბურჭულაძის პარტიის გზას დაადგა.

თავად მელიას სკანდალურ განცხადებას მან ასევე სკანდალური ბრალდებით უპასუხა. ტვ პირველის ეთერში მან განაცხადა, რომ მელიამ კეზერაშვილისგან ფული ვერ მიიღო და ამიტომ არის გამწარებული.

– არ ვიცი, რას დავაბრალო მელიას ასეთი ქცევა, ერთადერთი, რაც შემიძლია ვივარაუდო, რომ, როგორც ჩანს, ბატონმა ნიკანორმა, რომელიც თვლიდა, რომ წარსულში დავით კეზერაშვილი იყო ნაციონალური მოძრაობისა და საქართველოს მესამე პრეზიდენტის მოქმედების დამფინანსებელი, ჩათვალა, რომ უნდა მიემართა მისთვის, არ ვიცი, მიიღო თუ არა უარი და დარწმუნებული ვარ, უარს მიიღებდა იმიტომ, რომ დავით კეზერაშვილის მხარდაჭერა ფინანსური, მიუხედავად იმისა, რომ მესმოდა ჭორების დონეზე, არასდროს არ მიგრძვნია, – განაცხადა ბობოხიძემ.

## სკოლებში ვაშლის დარიგების კამპანია სამინისტროს 78 ათასი ლარი დაუჯდება

განათლების სამინისტრომ სკოლებში „ვაშლების დარიგების“ კამპანიისთვის ტენდერი გამოაცხადა.

სატენდერო პირობების თანახმად, წინადადებების მიღება 19 სექტემბერს დაიწყება და 21 სექტემბერს დასრულდება. სამინისტრო 260 ათასი ერთეული ვაშლის შეძენას გეგმავს,

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება კი 78 ათასი ლარია.

პროექტის პირველ ეტაპზე ვაშლი თბილისის 10 სკოლაში ჯამში 20 ათას მოსწავლეს სექტემბერ-დეკემბრის პერიოდში დაურიგდება.

ამასთან, სატენდერო დოკუმენტაციის მისაწოდებელი ვაშლის სავარაუდო რაოდენობა კვირაში – 20 ათასი ერთეული; ერთი ვაშლის სავარაუდო წონა კი არანაკლებ 150 გრამია.

# მირიან მირიანაშვილი: „სამ-ოთხ დღეში სააკაშვილი სრულად გაფარჩაკდება“

მარიამ მჭედლიშვილი



საქართველოს მესამე პრეზიდენტის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერ მირიან მირიანაშვილს.

**მირიან მირიანაშვილი:**

– უკრაინაში შესული სააკაშვილის ავანტიურის მიზანია მსოფლიო მოვლენების დღის წესრიგში მოხვედრა, დასავლური მედიის ყურადღების მიპყრობა. მას ეს განზრახვა ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა, ვიდრე უკრაინის მოქალაქეობას ჩამოართმევდნენ. მოქალაქეობაწართმეულ სააკაშვილს ამისათვის გეგმის შემუშავება დასჭირდა. ამ გეგმით, მას უნდა გადაელახა უკრაინის საზღვარი და ლვოვში გამაგრებულიყო წინასწარ შერჩეულ ვილაში. ეს ვილა ბარიკადებით უნდა შემოერტყათ. სააკაშვილს გათვლილი ჰქონდა, რომ ამას მსოფლიო საინფორმაციო საშუალებები გააშუქებდნენ. გეგმა დიდწილად ჩაეშალა. დასავლურმა მედიამ მას ბოიკოტი გამოუცხადა და ბარიკადებიანი სახლის ჩანაფიქრი ჩავარდა.

***– რისთვის დასჭირდა ექსპრეზიდენტს ბოლო დროს მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ყოფნა?***

– ეს პირდაპირ უკავშირდება აშშ-ში მიმდინარე გამოძიებას. საქმეში იკვეთება სააკაშვილის გვარი. ბოლო დროს სააკაშვილს დასავლურმა მედიამ ზურგი აქცია.

***– საუბარია იმ საქმის გამოძიებაზე, რომელიც ეხება საპრეზიდენტო არჩევნების წინ ტრამპის გარემოცვის კავშირს რუსეთის წარმომადგენლებთან?***

– ამ საქმის გამოძიებაზეა საუბარი. გაირკვა, რომ წინასაარჩევნო შეხვედრის ორგანიზატორები არიან აზერბაიჯანელი მამა-შვილი აგალაროვები. შვილი, ემილ აგალაროვი აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის ყოფილი სიძეა. იგი ესწრებოდა იმ წინასაარჩევნო შეხვედრას. მართალია, ალიევის ქალიშვილი და მომღერალი აგალაროვი ერთმანეთს დაშორდნენ, მაგრამ ალიევები მაინც მჭიდროდ თანამშრომლობენ ყოფილ მძახალ არას აგალაროვთან. ეს უკანასკნელი მსხვილი დეველოპერია. ალიევებსა და აგალაროვებს ერთმანეთთან ბიზნესურთიერთობა აქვთ.

არას აგალაროვი დაკავშირებულია სააკაშვილთანაც. რუსეთის წარმომადგენელი, იურისტი ნატალია ვესელნიცკაია, რომელიც იმ შეხვედრის მონაწილეა, წლების განმავლობაში მუშაობდა აგალაროვის მოსკოვის კომპანიებში. სააკაშვილი აგალაროვს სთავაზობდა ერთ გარიგებას. როგორც ცნობილია, სააკაშვილი პირადად აკონტროლებდა მევახშეობის სქემებს, რომლებითაც მიითვისეს უამრავი ბინა თბილისში. 2008 წელს შექმნილი კრიზისის გამო გაჭირდა მევახშეობით ჩამორთმეული ბინების რეალიზაცია. ამის გამო სააკაშვილმა ბინების დიდი რაოდენობით შესყიდვა შესთავაზა აგალაროვს შემდგომი გადაყიდვის მიზნით. ამაზე მოლაპარაკებები გაიმართა, მაგრამ, გარიგება საბოლოოდ ვერ შედგა. შესაძლოა, მხარეები ფასზე ვერ მორიგდნენ. პრეზიდენტობის შემდეგ სააკაშვილი რომ აზერბაიჯანში ჩადიოდა, იქ აგალაროვს ხვდებოდა. ამბობენ, რომ ბიზნესმენობის პერიოდში საქართველოში ტრამპის ჩამოსვლაც აგალაროვის ორგანიზებულია.

***– სააკაშვილის სახელი ირიბად უკავშირდება ტრამპის შტაბისა და რუსეთის წარმომადგენლების გახმაურებულ შეხვედრას და ის ამის გაბათილებას ცდილობს?***

– რასაკვირველია. დასავლეთის ელიტა მას ცუდი თვალით უყურებს. პოროშენკომ სააკაშვილს მოქალაქეობა ამერიკელებთან შეთანხმებით მოუხსნა. ბოლო დღეებში მას ჰქონდა მცდელობა, საკუთარი ხარჯებით ჩამოეყვანა პოლონეთში ბი ბი სი, ფოქს ნიუსი, სხვა მედია, მაგრამ უარი მიიღო.

***– მის გადაადგილებას მარტო პოლონური და უკრაინული საშუალებები აშუქებდნენ?***

– დიახ, თუ არ ჩავთვლით რუსთავი 2-ს და რუსეთის ერთი-ორ სააგენტოს.

***– აღნიშნეთ, რომ დასავლური ელიტისთვის სააკაშვილი მიუღებელი გახდა. პოლონეთში მას თან ახლდნენ ევროდეპუტატები, მაგალითად, ვოლსკი.***

– ამაზე დიდი ფული დაიხარჯა. ავაკოვის გარემოცვაზე დაყრდნობით შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ სააკაშვილმა პოლონეთის პოლიტიკურ ელიტას 5-დან 10 მილიონ დოლარამდე გადაუხადა. ვოლსკის ყოფნა მის გვერდით უზრუნველყოფდა მის უსაფრთხოებას. ლვოვის ვილაში გამაგრებული სააკაშვილი ბევრად უფრო უკეთ იგრძნობდა თავს. კიევში შესვლა მას გაუჭირდება. ახლა მან თავი ჩაიყენა არაპროგნოზირებად მდგომარეობაში. უნდოდა, თავი გამოეჩინა, დასავლეთის შვილობილი გამხდარიყო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

***– ადრე თქვით, რომ სააკაშვილს, როგორც რუსეთის დავალებების შემსრულებელს, საფრთხე რუსეთის სპეცსამსახურებისგანაც ემუქრება.***

– რა თქმა უნდა. ეს საფრთხე ძალაშია. ეს მისთვის უფრო მეტი საშიშროებაა, ვიდრე დასავლეთის მხრიდან მისი ბოიკოტი. რუსეთს არ სჭირდება ბევრის მცოდნე საკუთარი აგენტი, რომელიც ევროპაში წინ და უკან ივლის, ან საქართველოს ციხეში იჯდება. მოსკოვს სააკაშვილი საქმეში უნდა. ბოლო პერიოდში მისი საქმე უკრაინაში მუშაობა იყო. სააკაშვილს ურჩევნია, უკრაინაში იყოს. თუ იქ დაიჭერენ, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას დააკისრებენ და საბუთებს ჩამოართმევენ. უკრაინის გარეთ კი მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. რუსეთს არც საქართველოს ციხეში მყოფი სააკაშვილი აწყობს.

***– მისი ექსტრადირება და დაპატიმრება იგეგმება?***

– საქართველოს ხელისუფლება, რუსეთის ზეგავლენით, ამას არც აპირებს. ამდენი დღე იყო კაცი პოლონეთში, ესენი კი მის ექსტრადირებას უკრაინისაგან მოითხოვდნენ! ეს ანეკდოტს ჰგავს.

***– სააკაშვილის მომხრეებს იმედი მიეცათ, რომ ის საქართველოშიც დაბრუნდება.***

– საზოგადოების ნაწილი დაშინდა. მინდა ეს ადამიანები დავამშვიდო. სამ-ოთხ დღეში სააკაშვილი სრულად გაფარჩაკდება. მისი ძლევამოსილების მითს რუსთავი 2 ქმნის.

# შალვა შავგულიძე: „ვენეციის კომისია ხელისუფლებას მოუწოდებს, ეს კონსტიტუცია არ მიიღოს“

## „ოპოზიციისგან არავითარ ულტიმატუმს ადგილი არ ჰქონია“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატების თავმჯდომარე **შალვა შავგულიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებებსა და მათ შედეგებზე საუბრობს.

***– ბატონო შალვა, რა ინფორმაცია გაქვთ, საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესი დასრულდა და ხელისუფლება მესამე მოსმენით უყრის კენჭს კონსტიტუციის ახალ რედაქციას?***

– პროცესი დასრულებული არ არის, რადგან საზოგადოებისთვის ცნობილია ვენეციის კომისიის ხელისუფლებისადმი მიმართვა, რომლის მიხედვითაც, ვენეციის კომისია ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ მესამე მოსმენით კონსტიტუციური კანონპროექტი არ მიიღოს, სანამ ვენეციის კომისიიდან საბოლოო დასკვნას არ მიიღებენ. საბოლოო დასკვნა ოქტომბრის ბოლოსთვის იქნება.

***– თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?***

– არ ვიცი, მაინც გადადგამს ხელისუფლება ვენეციის კომისიასთან ასეთ დაპირისპირებულ ნაბიჯს და მიიღებს ამ კანონპროექტს?! თუ ამაზე წავა ხელისუფლება, მაშინ ეს იქნება აშკარა უპატივცემულობა ევროპული, ავტორიტეტული ორგანიზაციის მიმართ. მეტიც, ეს იქნება სერიოზული კითხვის ნიშნის საფუძველი.

***– რის მიმართ?***

– თუ ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნას არ დაელოდება ხელისუფლება, რაც მას ეთხოვა, მაშინ ეს სერიოზულ ეჭვს აჩენს, რომ ვივარაუდოთ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება შეგნებულად შედის ევროპულ სტრუქტურებთან კონფლიქტში. ამას თანმდევი ნეგატიური შედეგები ექნება ჩვენი ქვეყნისთვის ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით.

მე მახსენდება პროკურატურის შესახებ კანონი, რომელზეც მიმდინარეობდა მუშაობა. მაშინაც მიმართა „ქართულმა ოცნებამ“ ვენეციის კომისიას, რათა დასკვნა მოემზადებინა, ვენეციის



კომისიამ შუალედური დასკვნა მოამზადა, სადაც მკაფიოდ ნეგატიურად იყო კანონპროექტი შეფასებული, ნათლად იყო აღნიშნული, რომ კანონპროექტი პროკურატურის დეპოლიტიზების მიზნებს არ პასუხობდა. მიუხედავად ამ შენიშვნებისა, „ქართულმა ოცნებამ“ კანონპროექტი სასწრაფოდ მაინც მიიღო ისე, რომ საბოლოო დასკვნას არც დალოდებია, ორი მოსმენით პროცესი დაასრულა. ეს მაგალითი იმიტომ გავიხსენე, რომ ჩვენ გვაქვს მსგავსი შემთხვევა.

***– ხელისუფლებამ ოპოზიციას დაგაბრალათ მთელი ეს პროცესი და თქვა, რომ არაერთგვაროვანი პოზიციები ჰქონდა ოპოზიციას. იზიარებთ პასუხისმგებლობას?***

– არავითარ შემთხვევაში! არავითარი არაერთგვაროვანი პოზიციები არ იყო. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ოპოზიცია ულტიმატუმებს აყენებდა და სწორედ ამიტომ გახდა შეუძლებელი კონსენსუსის მიღწევა. რბილად რომ ვთქვა, ეს სინამდვილეს არ შეესაბამება.

***– ოპოზიციას ხომ ჰქონდა გარკვეული მოთხოვნა მოლაპარაკების წინ?***

– ოპოზიციისგან ხელისუფლებამ ორი სახის პოზიცია და შეთავაზება მიიღო. ოპოზიციის უდიდესი ნაწილი, რომელსაც ჩვენც მივეკუთვნებოდით, მზად ვიყავით დიალოგისთვის, მაგრამ ხელისუფლებასთან დიალოგის დასაწყებად აუცილებელი იყო, რომ ხელისუფლება დაბრუნებოდა თავდაპირველ მოცემულობას, რომელზეც ყველამ ვიმუშავეთ, ვგულისხმობ 2020 წელს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას. სწორედ პროპორციული საარჩევნო სისტემის ირგვლივ იყო ნახევარი წლის მანძილზე მსჯელობა კომისიაში, რაც ხელისუფლებამ, ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, მოგვიანებით, პარლამენტში ერთპიროვნულად შეცვალა. ამიტომ ვითხოვდით, რომ დაბრუნებოდა პირვანდელ მოცემულობას.

***– რაც ხელისუფლებამ ულტიმატუმად მიიღო.***

– ეს რომ ულტიმატუმი არ არის, ამას კარგად ხედავს საზოგადოება. როგორ შეიძლება ნახევარი წელი იმუშაოს მთელმა ქვეყანამ, პლუს ვენეციის კომისიამ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე და შემდეგ უცებ გაირკვეს, რომ თურმე, რაზეც ვიმუშავეთ, ის არაფერ შუაშია, გვთავაზობენ სულ სხვას, ანუ იგივე საარჩევნო სისტემას. ეს ხომ წარმოუდგენელია, ფეხბურთის თამაშს ჰოკეის წესებით გვთავაზობენ.

ამიტომ, ოპოზიციის ერთმა ნაწილმა საკითხი დავაყენეთ, დიალოგისთვის მზად ვართ, მაგრამ დავუბრუნდეთ იმ საკითხს, რაზეც ვიმსჯელეთ ნახევარი წელი. ასევე ვითხოვდით პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევნების შენარჩუნებას და მანდატების განაწილების სამართლიან წესს. მეორე ნაწილი კი ყოველგვარი საკითხების გარეშეც იყო მზად დიალოგისთვის. ამდენად, არავითარ ულტიმატუმს ოპოზიციისგან ადგილი არ ჰქონია.

***– ოპოზიციის ნაწილი მეორე ნაწილს აბრალებს, რომ დიალოგის გაგრძელებაზე თქვით უარი.***

– არა, ეს არის ხელისუფლების მცდელობა, რომ ოპოზიციაში დაპირისპირება შეიტანოს. ხელისუფლებას სურს, ოპოზიციას დააბრალოს ყველაფერი, რომ ოპოზიცია თითქოს არ აღმოჩნდა დიალოგისთვის მზად. ვენეციის კომისიის თავმჯდომარემ რამდენჯერმე რომ თქვა, რომ თავის აღშფოთებას ვერ მალავს, აქ ოპოზიციის საქციელზეა საუბარი თუ ხელისუფლების?!

***– თუ ვენეციის კომისია კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან დაკავშირებით მკვეთრად უარყოფით დასკვნას გამოაქვეყნებს, ეს ვისი პასუხისმგებლობა იქნება?***

– მხოლოდ ხელისუფლების. ხელისუფლებამ თვითნებურად შეცვალა ის, რაზეც ვმუშაობდით მთელი ნახევარი წელი და ახლა აქვს მცდელობა, რომ თვითნებურ გადაწყვეტილებას კონსენსუსი დაარქვას და თუ ეს არ გამოუვა, მაშინ მთელი ეს პროცესი ოპოზიციას გადააბრალოს და თქვას, რომ ოპოზიცია არ არის მზად კონსენსუსისთვის.

ასე შეუძლია ვენეციის კომისიასაც დააბრალოს და თქვას, რომ ვენეციის კომისია არ არის მზად თანამშრომლობისთვის და იძულებულია, რომ მასთან თანამშრომლობის გარეშე მიიღოს კონსტიტუციური კანონი. ეს კი ყველაზე საშიშ ტენდენციაზე იქნება მინიშნება, რომ ხომ არ ადგას ხელისუფლება შეგნებულად იმ გზას, რომ ის ღია დაპირისპირებასა და კონფლიქტში შევიდეს ევროპულ სტრუქტურებთან. თუ ასე განვითარდა მოვლენები და ეს იქნება შეგნებული ნაბიჯები, ეს იქნება ყველაზე სახიფათო. მე სერიოზული კითხვის ნიშნები მიჩნდება.

## გიორგი მარგველაშვილი: „ძალიან უცნაური იყო ბოლოდროინდელი პოლემიკა — ზეპირად გვითხარით, წერილობით მოგვწერეთ, სიმღერა დაწერეთ, კომიქსებად გამოგვიგზავნეთ“



საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილისთვის საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ბოლო დროს მიმდინარე პოლემიკა ძალიან უცნაური იყო.

პრეზიდენტის თქმით, ახლა მან ოპოზიციასთან ერთად ქვეყანა ჩიხიდან უნდა გამოიყვანოს საკონსტიტუციო ცვლილებებზე ახალი კონსენსუსური ვარიანტის შექმნით. პრეზიდენტის შეფასებით, ვენეციის კომისიის პრეზიდენტ ჯანი ბუკიკიოს განცხადება, რომელმაც თქვა, რომ იმედგაცრუებულია, ხატოვნად ასახავს საქართველოს იმიჯის მდგომარეობას.

– ეს იმედგაცრუება ყველა ჩვენგანზე გადმოდის. ეს არის იმედგაცრუება საქართველოთი, სადაც ვერ ხერხდება შეთანხმება. მე ვფიქრობ, ჩვენი შეთავაზება იქნება კიდევ ერთი შანსი მმართველი პოლიტიკური ძალისთვის, დაფიქრდეს, რომ შესაძლებელია კონსენსუსი. ძალიან უცნაური იყო ბოლოდროინდელი პოლემიკა, რომელიც მიმდინარეობდა – ზეპირად გვითხარით, წერილობით მოგვწერეთ, სიმღერა დაწერეთ და კომიქსებად გამოგვიგზავნეთ. მერე, რაღაცა არ მოგვწონს და ა.შ. ეს აბსოლუტურად გაუგებარი პროცესი იყო. გთავაზობთ შეიქმნას ერთობლივი წერილობითი დოკუმენტი, მივართვათ მმართველ პოლიტიკურ ძალას, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მისივე თქმით, თუ შეთავაზებული დოკუმენტი არ იქნება მიღებული, ამის შემდეგ შეიძლება, რომ შექმნილი ტექსტი სხვა მიზნებისთვისაც იყოს გამოყენებული. მარგველაშვილმა ოპოზიციას თხოვნით მიმართა, მონაწილეობა მიიღონ დოკუმენტის შექმნაში, რომელიც, მისი თქმით, ქვეყანას ჩიხიდან გამოიყვანს.

## გიორგი ვაშაძე: „როგორც ჩანს, დავით კეზერაშვილი ბიძინა ივანიშვილთან დალაგდა და მასთან ერთად აკეთებს ფულს“



– როგორც ჩანს, დავით კეზერაშვილი ბიძინა ივანიშვილთან დალაგდა და მასთან ერთად აკეთებს ფულს, – ასე ეხმაურება „ახალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ვაშაძე ნაციონალური მოძრაობის წევრის, ნიკა მელიას, განცხადებას კეზერაშვილზე, რომ მან ნაციონალური მოძრაობის დროს ყაჩაღობით იშოვა ფული.

– კეზერაშვილთან დაკავშირებით პოზიტიური შეფასებებით არასოდეს გამოვირჩეოდი, ვფიქრობ, მსგავსი ადამიანები ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებისთვის ყოველთვის პრობლემა იყო. მე შემიძლია დავეთანხმო ნიკა მელიას, ეს არის ადამიანი, რომელიც, როგორც ჩანს, დალაგდა ბიძინა ივანიშვილთან და მასთან ერთად აკეთებს ფულს. ასეთი ადამიანების დრო საქართველოში უნდა დასრულდეს, – აღნიშნა გიორგი ვაშაძემ.

რაც შეეხება „ევროპულ საქართველოს“ შესაძლო დაფინანსებას, გიორგი ვაშაძის თქმით, გამორიცხული არაფერია. „მეც მაქვს ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია, საიდან ამხელა ფული „ევროპულ საქართველოს“? როგორც ჩანს, მას ჰყავს გულშემატკივრები“, – განაცხადა ვაშაძემ.

## დიმიტრი პესკოვი: „კრემლი მიხეილ სააკაშვილის გადაადგილებას არ აკვირდება“



– კრემლი არ აკვირდება ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის გადაადგილებას, ვინაიდან ეს თემა უფრო პოლიტიკურ კლოუნადას განეკუთვნება, – ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა.

– კრემლის დღის წესრიგში ძალიან ბევრი სერიოზული საკითხია, რაზეც თვალყურის დევნაა საჭირო და რითიც დაკავებული ვართ. არა მგონია, რომ მიხეილ სააკაშვილის გადაადგილების საკითხი სერიოზულ საკითხთა ნუსხაში შედიოდეს, – აღნიშნა პესკოვმა.

მისი თქმით, აღნიშნული საკითხი უფრო პოლიტიკური კლოუნადის კატეგორიას განეკუთვნება.

## ავღანეთში დღეს მომხდარი აფეთქების შედეგად ქართველი სამხედრო დაშავდა

ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში, ბაგრამის საავიაციო ბაზიდან 5 კილომეტრში მომხდარი აფეთქების შედეგად, „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის 23-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამხედრო მოსამსახურე, კაპრალი ზაურ ზურაბის ძე კომახიძე დაშავდა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დაშავებულ მშვიდობისმყოფელს მსუბუქი ბაროტრავმა აღენიშნება და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ამ დროისათვის ქართველი სამხედრო მოსამსახურე ბაგრამის საავიაციო ბაზის სამხედრო ჰოსპიტალშია გადაყვანილი, სადაც მას საჭირო კვლევები უტარდება.

## აცივებასთან ერთად ფაროსანა სახლებსა და ტყეებში გადავა



სოფლის მეურნეობის მინისტრის, ლევან დავითაშვილის განცხადებით, აცივებასთან ერთად ფაროსანა სახლებსა და ბუფერულ ზონებში გადავა.

როგორც ლევან დავითაშვილმა განაცხადა, ამჟამად ფაროსანა საკარმიდამო ნაკვეთებში ნაწილობრივაა გავრცელებული და მისი გავრცელება სამეურნეო კულტურების დამწიფებაზეა დამოკიდებული.

– როგორც იცით, ფაროსანა თავიდან იყო თხილში. თხილი ყველაზე ადრე მწიფდებოდა და აქედან გამომდინარე, თხილში დაიწყო და გავრცელება მოჰყვა სიმინდის ყანებში. როგორც იცით, შემოდგომით შემოდის სხვადასხვა ხილი და სხვადასხვა ხილის და ბოსტნეულის დამწიფების კვალობაზე, ფაროსანა ასევე გადადის საკარმიდამო ნაკვეთებში. მაგრამ, როგორც წესი, აცივებასთან ერთად, ის ან იზამთრებს სახლებში ან ტყის პირებში, ტყეში, ქარსაფარ ზოლებში, ან ბუჩქებში, ბუჩქნარსა და ჭალებში გადადის. ეს არის მისი მარშრუტი, ვიდრე მიეცემა ზამთრის ძილს. ამჟამად საკარმიდამო ნაკვეთებში ნაწილობრივაა ფაროსანა გავრცელებული და გააჩნია იმას, რა ტიპის ხილია ამა თუ იმ ნაკვეთში, ან რა ტიპის სამეურნეო კულტურა მოჰყავს ამა თუ იმ ფერმერს, – განაცხადა დავითაშვილმა.

მისივე განმარტებით, ამჟამად ფაროსანას ძირითადი გავრცელების არეალია სიმინდის ყანები (სადაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო მუშაობს ტექნიკით).

## თბილისის მასშტაბით ტყის სანიტარული ჭრები ხორციელდება



თბილისის მასშტაბით ტყის სანიტარული ჭრები ხორციელდება. მავნებლებით დაავადებული და გამხმარი ხეების მოჭრის სამუშაოები წყნეთში მიმდინარეობს, სადაც 1.317 ძირი მავნებლებით დაზიანებული, ხმელი და ზეხმელი ხე მოიჭრა.

სანიტარული ჭრები განხორციელდა ასევე კოჯორსა და ოქროყანაში.

თბილისის მერიის გამწვანების სამსახური სანიტარულ ჭრებს პერიოდულად ახორციელებს. მავნებლებით დაავადებული და ზეხმელი ხეების მოჭრა განხორციელდა კუს ტბაზე, ბეთანიაში, შინდისში, მთაწმინდის მიდამოებში, გლდანსა და ავჭალაში.

აღნიშნული ღონისძიებები კომპლექსურად ხორციელდება. იგი მნიშვნელოვნად შეზღუდავს დედაქალაქის მასშტაბით მცენარეთა მავნებელი დაავადებების გავრცელებას და, შესაბამისად, მცენარეული საფარის ხმობას.

2013-2015 წლებში ქართველი და უცხოელი ექსპერტების კვლევებზე დაყრდნობით თბილისის შემოგარენის ფიჭვების კვლევისას დაფიქსირდა შემდეგი მავნებლები: ქერქიჭამიები, ლაფნიჭამიები და ხარაბუზები, აგრეთვე დაავადებების გამომწვევი სოკოები, რომელთაც დააჩქარეს დასუსტებული ხეების ხმობის პროცესი.

თბილისის მერიის მიერ განხორციელდა დედაქალაქში არსებული ფიჭვნარების დეტალური კვლევა და ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შეფასება, რომლის გათვალისწინებითაც რეაგირების ღონისძიებების გეგმა შემუშავდა.

# „მიწა და ნებისმიერი სხვა ეკონომიკური აქტივი კერძო მფლობელობაში უფრო ნაყოფიერად გამოიყენება, ვიდრე სახელმწიფო საკუთრებაში“

„ფული ყოველთვის მაშინ უფასურდება, როცა იმაზე მეტი იხარჯება, ვიდრე არის. ეს კი, მხოლოდ მის დამბეჭდავს ანუ, ბრუნვაში დამმატებელს, მის ემიტენტს შეუძლია“, – ამის შესახებ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა **ვანო ჩხაიძემ** ინტერპრესნიუსს განუცხადა.

**– ბატონო ვანო, რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ცნობა, რომ მიწის შეძენის უფლება კომერციულ ბანკებს ექნებათ. გასაგებია, რომ საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, მართლაც არსებობს სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელების მიერ დაპატრონების საფრთხე და ამ საკითხის გადაწყვეტისას უპრიანიც კი იქნებოდა გაგვეთვალისწინებინა ევროპული ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება. მაგრამ, ვხედავთ, რომ ჩვენს შემთხვევაში არც ასე არ ხდება.**

**სამწუხაროდ, ჩვენში, როცა ეკონომიკის განვითარებაზე საუბრობენ, არ ითვალისწინებენ, რომ ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, რომ განიხილება თუ არა მიწა ეკონომიკურ ღირებულებად. არადა, კარგად ჩანს, რომ ხელისუფლებას კარგად ესმის მიწის, როგორც ეკონომიკური ღირებულების ფასი და გამოსავლის პოვნას ცდილობს.**

**თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს მიზეზი, რომ მიწის გასხვისება-არგასხვისებასთან დაკავშირებით ჩვენს საზოგადოებაში ჩამოყალიბებულია მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება? ამ შემთხვევაში სულაც არ იგულისხმება ის, რომ გარკვეული პირობებით მიწა შესაძლოა მართლაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა აიღონ, თუნდაც იჯარით...**

– სამწუხაროდ, ვერ დაგეთანხმებით, რომ ხელისუფლებას კარგად ესმის მიწის, როგორც ეკონომიკური ღირებულების ფასი და გამოსავლის პოვნას ცდილობს. თან, ვერც მე ვიჯერებ, ხელისუფლება ეკონომიკურად ამდენად უვიცი იყოს, განსაკუთრებით, მიწის საკითხში.

თუ თქვენი მოსაზრება სწორია, მთლად უარესი. გამოდის, მავნებლობს, რადგან პრობლემიდან ერთადერთი გამოსავლის დიამეტრალურად საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს იღებს და შემდეგ თავისივე გადაწყვეტილებების ახალი კორექტირების ისეთი ინიციატივებით შემოდის, რომ კიდევ უფრო შეუძლებელი გახადოს საკითხის ჩვენი ხალხისათვის და ქვეყნისათვის სასიკეთოდ მოგვარება. ამავე დროს, ვფიქრობ, ზუსტია მოსაზრება – მიწის გასხვისება-არგასხვისებასთან დაკავშირებით ჩვენს საზოგადოებაში ჩამოყალიბებულია მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება.

მოგეხსენებათ, მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება შეიძლება არსებობდეს ან გასხვისების, ან არგასხვისების (სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაში გადაცემის ან არგადაცემის) წინააღმდეგ. თითქოსდა, ან ერთი დამოკიდებულება უნდა იყოს, ან მეორე, მაგრამ პარადოქსული სწორედ ისაა, რომ თქვენი მოსაზრება ზუსტია და რეალურად, ორივე ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულება ერთად არსებობს მიწის გასხვისება-არგასხვისებასთან დაკავშირებით. ანუ სახეზეა სრული დომხალი.

ეს რეალობა, მიწის გასხვისება-არგასხვისების თემაზე საზოგადოების აზრის, ვფიქრობ, დიდწილად მცდარი, ზედმეტი გამწვავება და შემდეგ მისი თითქოს გათვალისწინება მიზანმიმართულად, ხელოვნურად მოხდა თუ ბუნებრივად, ამ მიმართულებით ხანგრძლივად გენერირებული საზოგადო მენტალობის გამო, ეგ ცალკეა საფიქრალი.

თუ მაინც ვეცდებით აბსურდულ სურათში უფრო მკაფიოდ გავერკვეთ, დავინახავთ, რომ ერთი მხრივ, უკვე ვერავინ ბედავს უარყოს საყოველთაო ჭეშმარიტება, რომ მიწა და ნებისმიერი სხვა ეკონომიკური აქტივი ყველგან და ყოველთვის, კერძო საკუთრებაში უფრო ნაყოფიერად გამოიყენება, ვიდრე სახელმწიფო საკუთრებაში.



ეს თეზისი დამანგრეველ წინააღმდეგობაში მოდის ყველაფრის ცენტრიდან მართვის მოტრფიალე და ეკონომიკის თავისუფლების შემზღუდავ წითელ იდეოლოგიასთან, მაგრამ ის წინა საუკუნის მიწურულს საკუთარი ინიციატივით გადავიდა რა იატაკქვეშეთში, გაექცა ცივილიზაციასთან ხისტ დაპირისპირებას და საკუთარი რეპუტაციის ნარჩენების გადასარჩენად უკვე ღიად ველარ ბედავს, დახვრიტოს ყველა, ვინც კერძო საკუთრებას იცავს. ახლა ძველზე უფრო მალავს საკუთარ სიხარბეს. ვეღარ რისკავს, ღიად დაუპირისპირდეს ეკონომიკაში კერძო საკუთრების პრიმატს, იძულებულია შენიღბულად და თვალთმაქცურად, ახალ რეალობასთან სასიცოცხლო დაპირისპირებაში პარტიზანულ-დივერსიული მეთოდები და ხრიკები გამოიყენოს.

მხოლოდ ამის დანახვისას ხდება ცხადი, რომ ამ უმთავრეს თემაში გაუცნობიერებელ მოსახლეობაში თანმიმდევრული პროპაგანდით ადვილად როგორ ჩაინერგა საკმაოდ უსაფუძვლო შიში, რომ კერძო საკუთრებაში მყოფ მიწებს, შესაძლოა, უცხოელები დაეპატრონონ და მათ ადგილობრივები გააძევონ ან შავ მუშებად დაიყენონ.

ყოველდღიურ მედიაში მყარად დამკვიდრდა „მტრული სპეცსამსახურების ჯურღმულებში“ მოფიქრებული თუ არა ნამდვილად მოწონებული მზაკვრული კითხვა – მიეყიდოს თუ არა ჩვენი მიწა უცხოელებს? თითქოსდა იმ კეთილი მზრუნველობით, რომ ჩვენი მოქალაქეები არ აღმოჩნდნენ უმიწოდ.

არავის ებადება უფრო მარტივი, პირდაპირი კითხვა: გადაეცეს თუ არა საქართველოს მოქალაქეებს პირად საკუთრებაში დღემდე სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილი, გამოუყენებელი და გავერანებული მიწები და სხვა სიმდიდრეები უფასოდ?...

კითხვის ასე მოტრიალებას საყოველთაო ტაბუ ადევს. უსაფუძვლო თუნდაც იმიტომაა ზემოხსენებული, ხელოვნურად გაღვივებული შიშები, რომ განვლილ წლებში, როცა იმავე უცხოელებს სრულიად თავისუფლად და უიაფესად შეეძლოთ ჩვენი საუკეთესო მიწების ყიდვა და ამას არავინ უკრძალავდათ, მათ კერძო მესაკუთრეებისაგან მაშინაც პრაქტიკულად არაფერი უყიდიათ და მიწების ის უმცირესი რაოდენობა (1%-მდე), რაც უცხოელებმა მაინც დაისაკუთრეს, ძირითადად სწორედ სახელმწიფოსგან იყიდეს ან საჩუქრად მიიღეს.

ერთი მხრივ, უკვე ვერავინ ბედავს, უარყოს საყოველთაო ჭეშმარიტება, რომ მიწა და ნებისმიერი სხვა ეკონომიკური აქტივი, ყველგან და ყოველთვის კერძო საკუთრებაში უფრო ნაყოფიერად გამოიყენება, ვიდრე სახელმწიფო საკუთრებაში საერთოდ, თუკი უცხოტომელთა რამე ანკლავები, ავტონომიები ან ავტონომიურობის პრეტენზიები ჩნდება, სწორედ სახელისუფლებო ჩარევებით ან შეცდომებით. საპირისპიროდ ამისა, ალბათ, არსად მომხდარა და ვერც მოხდება, რომ მოქალაქეებს ვინმე მყიდველისათვის და, მით უმეტეს, რომელიმე ერთი ეთნოსისათვის ერთხმად და ორგანიზებულად მიეყიდოთ თავიანთი სამკვიდრო მიწები.

თუ საკმაოდ ვრცელი ტერიტორიის მისაკუთრების მსგავსი მიზნები მდიდარმა რამე გარე ძალამ, თუნდაც ფარულად, მაინც დაისახა, უშუალოდ მოსახლეობისაგან ყიდვა ისე ძვირი დაუჯდება, მას მიწის მნიშვნელოვანი ნაწილის ყიდვა და მიზანთან მიახლოებაც კი ვერანაირად გამოუვა. ეს იმ უბრალო ბუნებრივი მიზეზით მოხდება, რომ მოსახლეობის უმეტესობას ერთნაირად ისე მძაფრად არასდროს უჭირს, რომ მიწის რამე ერთ ფასზე შეთანხმდნენ. იაფ ფასად კი, შესაძლოა, უფრო მალე ადგილობრივებიდან ვინმე გამოისყიდის, ვიდრე გარე მყიდველი.

***– როგორ შეაფასებდით ხელისუფლების სურვილს, რომ კომერციულ ბანკებს ექნებათ მიწის შეძენის უფლება?***

– სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება დღემდე გაურბის მიწების და სახელმწიფო საკუთრებაში ჩარჩენილი, უკეთეს შემთხვევაში გამოუყენებელი სხვა უპატრონო ეკონომიკური აქტივების უფასოდ გადაცემას და დამკვიდრებას საკუთარი მოქალაქეების პირად საკუთრებაში, რათა ეს აქტივები ქვეყნის ეკონომიკაში დივერსიფიცირებულად ინტეგრირდეს, მრავალფეროვანი პირადი ინიციატივები და პასუხისმგებლობები ამოქმედდეს, გაამდიდროს დღეს ლატაკი თითოეული მოქალაქე და გააძლიეროს ქვეყანა.

როგორ შეიძლება ვალში დაგირავებული ქონების მესაკუთრეს ნაკლები უფლება ჰქონდეს თავისი ქონების უფრო სასურველი ფასით გაყიდვაზე, ვიდრე ბანკს, რომელიც თუნდაც სახელმწიფოს თანადგომით იტაცებს მას?! სრული უნამუსობაა, მსგავსი მცდელობა სახელმწიფო ინტერესებით შეფუთო.

ამას ეწინააღმდეგება თითქოს მხოლოდ იმიტომ, რომ გაძლიერებულ საზოგადოებას მოქმედი ხელისუფლება თავის ნებასურვილზე უკვე ვეღარ დაიმორჩილებს. თვითონ გახდება ძლიერი საზოგადოებისაგან მართული, თუმცა, სხვათა შორის, უკეთ ხელშეწყობილიც.

გარდა მეტი მატერიალური რესურსისა, ხელშეწყობილი თუნდაც იმით, რომ ასეთ შემთხვევაში ქვეყანაში ბუნებრივად უთუოდ გაჩენილი საკუთარი, მაღალი რეპუტაციის მქონე უამრავი უმდიდრესი ადამიანი, თავიანთ შორის არავის დაანებებს პირადი ბიზნესის ხელშემწყობი, მაგრამ სხვა ბიზნესებისათვის და მთლიანად ქვეყნისათვის კი ნაკლებსასურველი კანონშემოქმედების ინიცირებას. ამ თემებში გვერდზე მყარად დაუდგება კარგ ხელისუფლებას.

სამწუხაროდ, დღეს არ გვყავს წმინდანი ილია ჭავჭავაძე თავისი ეროვნული ბანკებით, რომლებიც საკმარისი ეროვნული ნდობით სარგებლობენ. გამორიცხული სულაც არაა, ბანკების უმეტესობა მხოლოდ იმაზე იყოს გამეცადინებული, მოქალაქეები საკრედიტო ჩიხში მოამწყვდიონ და იაფად დაგირავებული აქტივები დააკარგვინონ. საბანკო სისტემა და კომერციული ბანკები, მათი კლიენტების საყოველთაო გალატაკების ფონზე, წლებია ისეა შეზრდილი ხელისუფლებასთან, არ გაუჭირდებათ რამე ახალი კრიტერიუმი მოიგონონ.

როგორ შეიძლება, ვალში დაგირავებული ქონების მესაკუთრეს ნაკლები უფლება ჰქონდეს თავისი ქონების უფრო სასურველი ფასით გაყიდვაზე, ვიდრე ბანკს, რომელიც თუნდაც სახელმწიფოს თანადგომით იტაცებს მას?! სრული უნამუსობაა მსგავსი მცდელობა სახელმწიფო ინტერესებით შეფუთო.

კონსტიტუციაში კი ვისურვებდი, ყოფილიყო ამ შინაარსის ჩანაწერი: ყველა აქტივი, რომელიც ეკონომიკაში გამოიყენება, არის კერძო საკუთრება იმ მცირე განსაკუთრებული აქტივების გარდა, რაც დროებით, სხვა საჯარო მიზნებით, არაკომერციულად მოიხმარება და მისი სახელმწიფო საკუთრებაში დატოვების დროებით გარდაუვალი მიზეზების საჯარო დასაბუთება ყოველწლიურად საჯაროდ ქვეყნდება.

საერთოდ კი, ყველა ლოგიკით, პირიქით აჯობებდა – ვინც საკრედიტო ხაფანგში აღმოჩნდა, იმათ, თავიანთი ვალის დაფარვის მიზნით თავისი აქტივის გაყიდვის შედარებით შეუზღუდავი უფლება მისცემოდათ, კომერციულ ბანკებს კი პირიქით, უზრუნველყოფის თავისუფლად გაყიდვა შეზღუდვოდათ.

**– თქვენთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისა და ეკონომისტისთვის, მიწის გასხვისება-არგასხვისების თემაზე კონსტიტუციაში ოპტიმალური ჩანაწერი, სავარაუდოდ, როგორი შეიძლება ყოფილიყო?**

– უნდა რეალურად და არა თვალთმაქცურად შევთანხმდეთ, რომ ეკონომიკურად საუკეთესო სასტარტო პირობა იქნებოდა, ეკონომიკურ საქმიანობაში გამოსაყენებელი მიწა და სხვა უამრავი აქტივი: იშვიათი, მცირე გამონაკლისის გარდა, იყოს ქვეყნის მოქალაქეების კერძო საკუთრებაში; ჰქონდეს მათ მაღალი საბაზრო ფასი, ლიკვიდურობა და საინვესტიციო მიმზიდველობა.

ეს არაა ტექნიკურად რთული გასაკეთებელი და პოლიტიკური ნების გარდა, არც არაფერი სჭირდება, კონსტიტუციაში კი ვისურვებდი, ყოფილიყო ამ შინაარსის ჩანაწერი:

ფული ყოველთვის მაშინ უფასურდება, როცა იმაზე მეტი იხარჯება, ვიდრე არის. ყველა აქტივი, რომელიც ეკონომიკაში გამოიყენება, არის კერძო საკუთრება იმ მცირე, განსაკუთრებული აქტივების გარდა, რაც დროებით, სხვა საჯარო მიზნებით, არაკომერციულად მოიხმარება და მისი სახელმწიფო საკუთრებაში დატოვების დროებით გარდაუვალი მიზეზების საჯარო დასაბუთება ყოველწლიურად საჯაროდ ქვეყნდება.

**– პროფესორ ლადო პაპავას განმარტებით, „ლარის კურსის ცვლილება სეზონურ ცვლილებას“ უკავშირდება. თქვენი აზრით, სავარაუდოდ, რამ გამოიწვია ლარის მორიგი გაუფასურება?**

– თუ ძალიან, უძალიანესად უმოკლესად და თან ყველასთვის მაქსიმალურად გასაგებად ვიტყვით – აბა მე და თქვენ, თუ ფული გაგვითავდა, ვერაფრით დავხარჯავთ.

როგორც წესი, ამომრჩეველთა უმნიშვნელო ნაწილი აკეთებს საკმარისად გაცნობიერებულ ანალიზს და აკეთებს საფუძვლიან დასკვნებს, დიდი ნაწილი კი ყველგან ემოციურ და ინტუიციურ არჩევანს აკეთებს. ასეთ არჩევნებს ის იგებს, ვისაც მეტი რესურსი გააჩნია.

**„ინტერპრესნიუსი“**

# გიორგი კაკაურიძე: „ჩვენ ლარის კურსის დასტაბილურებას ველოდებით“

ფინანსთა სამინისტრო ვარაუდობს, რომ ლარის კურსი უნდა დასტაბილურდეს და „ზემოთ არ უნდა წავიდეს“. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძემ ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე განაცხადა.




როგორც კაკაურიძემ განმარტა, კურსის ვარდნაზე ასევე გავლენა მოახდინა მოლოდინებმა, რომელიც მოსახლეობას ტურისტების რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით აქვს.

– რაც შეეხება ლარის კურსს, ყველანაირი მაკროეკონომიკური ფაქტორი, რაც კურსზე გავლენას ახდენს, ეს არის როგორც საგარეო ვაჭრობა, ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებელი, ასევე ტურისტების შემოსვლა და სხვა ფაქტორები, რაც ვალუტის შემოდინებებსა და გადინებებს გამოიწვევს, დადებითად მოქმედებს კურსზე. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, რა მონაცემებიც გვაქვს, კურსის მერყეობას ნამდვილად არ ველოდებით. რაც შეეხება მიზეზებს უკვე მომხდარ რყევებზე, სამწუხაროდ, გარკვეული ტენდენცია ჩამოყალიბდა და ყველას აქვს მოლოდინი, რომ ტურისტული სეზონის დასრულების შემდგომ კურსი უნდა გაუფასურდეს. კურსზე ზეწოლა გარკვეულწილად ამანაც გამოიწვია, რადგან ტურისტული სეზონის ძირითადი დასრულების შემდგომ, სავარაუდოდ, მოსახლეობა შეეცადა, რომ მათ მიერ დაზოგილი თანხები გადაეყვანა დოლარში. თუ ჩვენ შევადარებთ კურსის მაჩვენებლებს სხვა ფულად ერთეულებთან, ვნახავთ, რომ მთელი წლის განმავლობაში სტაბილურად ერთ დონეზე ვიყავით და აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში 5%-იანი გაუფასურება გვაქვს, რაც მიანიშნებს, რომ ეს არის ამოვარდნილი სურათი და თუ იგივე მაკროეკონომიკური ჩვენება გაგრძელდა, ჩვენ ველოდებით, რომ კურსი უნდა იყოს სტაბილური და, რა თქმა უნდა, ზემოთ არ უნდა წავიდეს, – განაცხადა კაკაურიძემ.

# ქართველი მწარმოებლებისთვის შეღავათები წესდება

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ადგილობრივი მწარმოებლებისთვის შეღავათი წესდება, – ქართული კომპანიები ტენდერებში 10%-იანი შეღავათით ისარგებლებენ. საკითხს მთავრობა უახლოეს მთავრობის სხდომაზე განიხილავს.



საქართველოს მწარმოებელთა ფედერაციის ხელმძღვანელი ლევან სილაგავა „საქმის კურსთან“ საუბრისას ამბობს, რომ შეღავათით ის დარგები და კომპანიები ისარგებლებენ, რომლებიც ფასით და ხარისხით იმპორტირებულისთვის კონკურენციის გაწევას შეძლებენ.

– ყოველწლიურად დაახლოებით 4 მილიარდი ლარი იხარჯება სახელმწიფო შესყიდვებზე. იქ, სადაც ადგილობრივ მწარმოებლებს შეუძლიათ სწორი კონკურენცია გაუწიონ იმპორტირებულ პროდუქციას და ძალიან ახლოს არის პროდუქციის ფასით, სწორი ხარისხის პირობებში, – ამას სჭირდება ხელშეწყობა. ეს ადგილობრივი კომპანიების განვითარებას შეუწყობს, ასევე დადებითად იმოქმედებს ლარზეც, – ამბობს სილაგავა.

გადაწყვეტილება ბიზნესასოციაციის წარმომადგენლებს დღეს ეკონომიკის მინისტრმა გააცნო.

# „ქართული კომპანიები დიდ პროექტებში საერთაშორისო მოთხოვნებს მთლიანად ვერ აკმაყოფილებენ“



– ქართულ საპროექტო-სამშენებლო კომპანიებს მცირე პროექტებში მონაწილეობის პრობლემა არ აქვთ, თუმცა დიდ პროექტებში საერთაშორისო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებენ, – აცხადებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი სეთურიძე „კომერსანტთან“ ინტერვიუში. მისი თქმით, საპროექტო-სამშენებლო სამუშაობის 60%-ში, რაც ქვეყანაში ხორციელდება, ქართული კომპანიები არიან ჩართულები და ინფრასტრუქტურული პროექტებიდან თანხის 60% ქვეყანაში რჩება.

***– ბატონო გიორგი, ქვეყნის მასშტაბით, სამშენებლო-საპროექტო სამუშაოებში ქართული კომპანიები მონაწილეობენ უცხოური კომპანიების გვერდით. რატომ ვერ ხერხდება, რომ ერთ კონკრეტულ პროექტზე მხოლოდ ქართულმა კომპანიამ იმუშაოს და თანხები ქვეყანაში დარჩეს?***

– სამწუხაროდ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული პროექტების მოთხოვნებს ქართული კომპანიები მთლიანად ვერ აკმაყოფილებენ. თუმცა ის პოლიტიკა, რასაც ბოლო პერიოდში საქართველოს მთავრობა ატარებს, მათ საშუალებას აძლევს, რომ ყველა პროექტში მაქსიმალურად დატვირთულები იყვნენ. ეს ეხება საპროექტო სამუშაოებსაც და სამშენებლოსაც. თითქმის ყველგან, დაახლოებით 80%-ში ქართული კომპანიები არიან დაკავებულები. მცირე პროექტებზე ქართულ კომპანიებს პრობლემა არ აქვთ, რადგან მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებენ.

თანხების დატოვებას რაც შეეხება, ჩვენი გათვლებით, ინფრასტრუქტურული პროექტებიდან თანხის 60% საქართველოში რჩება. დანარჩენი არის ის მასალები და საწვავი, რაც იმპორტზე გადის. ასე რომ, ინფრასტრუქტურულ პროექტებში პოზიტიური ბალანსი გვაქვს.

***– რა არის მთავარი პრობლემა, რის გამოც ქართული კომპანიები საერთაშორისო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებენ, ხომ არ არის საუბარი დაბალ ხარისხზე?***

– მთავარი პრობლემა არის გამოცდილების მხრივ. ქართული კომპანიები უკვე აგროვებენ გამოცდილებას. ერთადერთი პრობლემა არის ის, რომ საერთაშორისო სტანდარტები დააკმაყოფილონ და ამასაც ეტაპობრივად იმაღლებენ. იმედია, როდესაც შესაბამის გამოცდილებას დააგროვებენ, დამოუკიდებლად ერთ კონკრეტულ პროექტზე მუშაობას უკვე თავადაც შეძლებენ. დაბალ ხარისხზე საუბარი გამორიცხულია. ყველა პროექტის მონიტორინგი და ზედამხედველობა ხდება ძალიან გამოცდილი უცხოური ინჟინრების მეთვალყურეობით. თუ მისაღები არ იქნება ხარისხი, დამკვეთი შესრულებულ სამუშაოს არ მიიღებს. ქართველმა ქვეკონტრაქტორებმა, რომლებიც საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობენ, უკვე დიდი გამოცდილება მიიღეს და ხარისხიც დადეს. თუნდაც ჩქაროსნული მაგისტრალის მაგალითზე ეს კარგად ჩანს. ხარისხი ყოველ წელს მატულობს.

***– რაც შეეხება ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის გზას, რომელიც რიკოთის გვირაბამდე მისასვლელი მონაკვეთია, რომლის მშენებლობაც იწყება, უკვე ცნობილია, რომ სამუშაოებს იტალიური კომპანია „ასტალდი“ შეასრულებს. რომელმა კომპანიებმა შეასრულეს დაპროექტების სამუშაოები და რამდენად გამოცდილები არიან მსგავს პროექტებში მონაწილეობით?***

– პროექტირება ქართული კომპანიის „ტრანს პროექტი“ და კორეული კომპანიის „პინგვა“ მიერ მოხდა. ეს საერთაშორისო გამოცდილების თანამედროვე კომპანიაა. რაც შეეხება სამშენებლო სამუშაოებს, ორ ლოტად არის გაყოფილი. ერთ ლოტს, როგორც მოგეხსენებათ, საკმაოდ გამოცდილი და მსხვილი კომპანია „ასტალდი“ შეასრულებს, მეორე ლოტზე ტენდერი კი ჩინურმა კომპანია „სპინო ჰიდრომ“ მოიგო, რომელიც საქართველოში მსგავს პროექტებზე უკვე მუშაობს და ქობულეთის შემოვლითი გზის ორი ლოტი ააშენა. ასევე, გრიგოლეთის მიმართულების მეორე ლოტზეც ეს კომპანია მუშაობს. ტენდერი დაახლოებით წელიწადისა და რვა თვის წინ გამოცხადდა. იყო წინა საკვალიფიკაციო პერიოდი. სატენდერო პროცესი მსოფლიო ბანკის მონიტორინგის ქვეშ მიმდინარეობდა და გამარჯვებულად ის ორი კომპანია გამოცხადდა, რომლებსაც ყველაზე დაბალი ფასები ჰქონდათ დაფიქსირებული. იმედი გვაქვს, სამუშაოები ხარისხიანად და დაგეგმილ ვადებში შესრულდება.

***– როგორც აღნიშნეთ, ქართულმა კომპანიამ მხოლოდ დაპროექტებაში მიიღო მონაწილეობა, სამშენებლო სამუშაოებს კი უცხოური კომპანიები შეასრულებენ. ქართული კომპანიები სამუშაოებში რატომ არ ერთვებიან?***

– ორივე მხარე, ჩინურიც და იტალიურიც, მოლაპარაკებებს აწარმოებენ ქართველ სამშენებლო კომპანიებთან. იმედი გვაქვს, რომ აღნიშნულ პროექტს ორი თვის შემდეგ ქართული ქვეკონტრაქტორები ეყოლება. ზოგადად, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, რადგან ამ მონაკვეთის საშუალებით, ჩრდილოეთიდან გვერდს ავუვლით ხაშურს, სურამს, ჩუმათელეთს და გამოვალთ რიკოთის გვირაბთან. ჩვენი ვარაუდით, მშენებლობა 2020 წელს დასრულდება.

**კომერსანტი**

# ირაკლი კოვზანაძე: „ირაკლი მექვაბიშვილი იქნება პროფესიონალი და მიუკერძოებელი გენერალური აუდიტორი“



საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი კოვზანაძის თქმით, პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გენერალური აუდიტორის თანამდებობაზე წარდგენილი ირაკლი მექვაბიშვილი მაღალი კვალიფიკაციის ფინანსისტია.

– ირაკლი მექვაბიშვილი არის მაღალი კვალიფიკაციის ფინანსისტი. იგი ევრობანკის უფროსი ბანკირია და ბოლო ათი წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა საინვესტიციო პროექტებში როგორც საქართველოში, ასევე რეგიონის სხვა ქვეყნებში. ვფიქრობ, მისი გამოცდილება გამოადგება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შემდგომ ინსტიტუციურ განვითარებას და ვფიქრობ, საქართველოს პარლამენტისა და აუდიტის სამსახურის ურთიერთობა კიდევ უფრო მჭიდრო გახდება, – განაცხადა კოვზანაძემ.

**ირაკლი კოვზანაძე:**

– სახელმწიფო აუდიტი არის პარლამენტის მთავარი ბერკეტი, რომ მოვახდინოთ საბიუჯეტო ხარჯების ეფექტიანი კონტროლი. ამიტომ ჩემთვის, როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარისთვის, რომელიც უშუალოდ უწევს საპარლამენტო ზედამხედველობას აუდიტის სამსახურს, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანას ჰყავდეს ძლიერი და დამოუკიდებელი აუდიტის სამსახური. ჩემი აზრით, ირაკლი მექვაბიშვილი იქნება პროფესიონალი და მიუკერძოებელი გენერალური აუდიტორი.

პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ გენერალური აუდიტორის პოსტზე ირაკლი მექვაბიშვილი რამდენიმე დღის წინ წარადგინა.

ამასთან, საპარლამენტო კულუარებში მექვაბიშვილის კანდიდატურა უშუალოდ პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურად სახელდება. როგორც კერძო საუბრებში აღნიშნავენ, ისინი ერთად ჯერ გაერთიანებულ ქართულ ბანკში მუშაობდნენ და შემდგომაც, საბანკო სისტემაში დიდი ხნის ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ.

**კომერსანტი**

# შატილი ჰესი, შესაძლოა, მართვაში კერძო კომპანიას გადაეცეს



შატილი ჰესი, შესაძლოა, კერძო კომპანიის მართვაში გადავიდეს, ამის შესახებ „საქმის კურსს“ დუშეთის გამგებელმა ვაჟა ჩოხელმა განუცხადა.

მისი ინფორმაციით, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში არსებული ჰესის მართვა და ოპერირება ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ძალიან ჭირს.

– შატილის ჰესი ზოგადად ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. მთავრობასთან ერთად ვცდილობთ, მოწესრიგდეს ეს თემა. გამოსავალს ვეძებთ ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად, რომ ეს საკითხები გადაწყდეს. ძალიან გვეხმარება „ენერგოპრო ჯორჯია“.

ამჟამად ჰესი გაჩერებული არ არის, მაგრამ დატვირთვებს ვერ უძლებს, რამდენჯერმე გავარემონტეთ კიდეც. ვაგვარებთ ამ საკითხს ერთ-ერთ კომპანიასთან, რომელიც რეაბილიტაციას განახორციელებს და შესაძლოა, მის მართვაშიც გადავიდეს. რადგან მუნიციპალიტეტს თავისი არსებობის ფარგლებში ძალიან უჭირს ამ ჰესის მოვლა-პატრონობა, – აცხადებს ვაჟა ჩოხელი.

მისივე განმარტებით, სარეაბილიტაციო სამუშაოები გასულ წელს ჩატარდა და სწორედ ამის ხარჯზე მოახერხა ჰესმა მუშაობა და მოსახლეობისთვის დენის მიწოდება.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შატილში მდებარე ჰიდროელექტროსადგურზე განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ანაზღაურების მიზნით, 133.686 ლარი გამოიყო. თანხა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო.

ვაჟა ჩოხელი „საქმის კურსთან“ ჯერჯერობით არ აკონკრეტებს, რა სამუშაოებს მოხმარდა ან მოხმარდება გამოყოფილი თანხა.

ამჟამად დუშეთს მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია შატილიჰესი, არხოტის ჰესი და როშკის ჰესი.

**კომერსანტი**

# ყველის ფასმა 1-2 ლარით მოიმატა



რამდენიმე დღეა ყველი გაძვირდა. როგორც მოქალაქეები აცხადებენ, ყველის ფასმა დაახლოებით 1-2 ლარით მოიმატა.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა თუ რამ გამოიწვია პროდუქტის გაძვირება და რამდენად შეიძლება უკავშირდებოდეს ფასის მატება 1 ივლისიდან ამოქმედებულ რეგულაციას, რომლის თანახმად, რძის ფხვნილისგან ყველის დამზადება აიკრძალა.

როგორც „მომავლის ფერმერის“ თავმჯდომარე რუსუდან გიგაშვილი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, ყველის გაძვირებას შესაძლოა რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს.

– ფასის მატების პირველი მიზეზი სეზონიდან გამომდინარეობს, რადგან ახლა საქონლის წველადობა მცირდება. გარდა ამისა, ფასის მატების კიდევ ერთი განმაპირობებელი ფაქტორი შესაძლოა იყოს ის წესი, რომლითაც გაიმიჯნა ნედლი რძისა და რძის ფხვნილისგან წარმოება. თუმცა, ვფიქრობ, ფასი უფრო ნედლი რძისგან დამზადებულ ყველზე მოიმატებდა, რადგან რძის ფხვნილის იმპორტში ივნის-ივლისში რეკორდული მაჩვენებელი გვქონდა. ამას კი „გასალება“ სჭირდება, ამიტომ ფხვნილისგან დამზადებულ ყველზე ფასის მატება ნაკლებად მოსალოდნელია. ამასთან, მეწარმეებს სხვადასხვა სტანდარტების დაკმაყოფილების ვალდებულება გაუჩნდათ, რამაც დანახარჯები გაუზარდა, ეს კი შესაძლოა მათ საფასო პოლიტიკაზე აისახა, – აღნიშნა გიგაშვილმა.

მანვე 1 ივლისიდან ამოქმედებულ რეგულაციაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ რძის ფხვნილისგან პროდუქტი კვლავ მზადდება, რადგან „მართალია, ქვეყანაში კანონი არსებობს, მაგრამ შემოწმების მექანიზმი არ არის“.

– მთელი პრობლემა ის არის, რომ სახელმწიფო ვერ ამოწმებს, ყველი ნედლი რძისგანაა დამზადებული თუ რძის ფხვნილისგან. ერთადერთი საშუალება ტრანსცხიმებზე შემოწმებაა, მაგრამ თუ მეწარმე მათ არ იყენებს, მაგრამ პროდუქტს რძის ფხვნილისგან ამზადებს, ამას ვერ დაუმტკიცებენ, – განაცხადა გიგაშვილმა.

**ბიპიენი**

# საქართველოს სადაზღვევო ბაზრის TOP 5 კომპანია

რაც დრო გადის, საქართველოში სადაზღვევო სფერო მით უფრო პოპულარული და სოციალურად სასარგებლო ხდება. ამას მოსახლეობაც აღიქვამს და ხელისუფლებაც. ვფიქრობთ, რომ შეუქცევადი კანონზომიერებაა. სფეროს მიმართ გაზრდილი ინტერესის გათვალისწინებით, გთავაზობთ სადაზღვევო ბაზრის 2017 წლის 6 თვის რამდენიმე საინტერესო ოფიციალურ მონაცემს (წყარო:insurance.gov.ge) მცირე ანალიზით.

**ყველაზე მსხვილი სადაზღვევო კომპანიები:**

ბოლო ხანს სადაზღვევო ბაზარს 3 ახალი წევრი შეემატა (სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“, სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“, სს „თიბისი დაზღვევა“) და ამჟამად ბაზარზე 16 სადაზღვევო კომპანია ოპერირებს. მათ შორის, მოზიდული პრემიებით (შემოსავლით) ყველაზე მსხვილი ხუთეული შემდეგია:

ჯი პი აი ჰოლდინგი – ბაზრის 26,02 %

ალდაგი – ბაზრის 20,13 %

იმედი L – ბაზრის 12,25 %

პსპ დაზღვევა – ბაზრის 11,03 %

არდი დაზღვევა – ბაზრის 7,75 %

**დაზღვევის ყველაზე გავრცელებული სახეობები:**

სამედიცინო დაზღვევა – ბაზრის 49,72 %

ავტომობილების დაზღვევა – ბაზრის 16,01 %

ქონების დაზღვევა – ბაზრის 15,66 %

სიცოცხლის დაზღვევა – ბაზრის 4,54 %

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა – ბაზრის 3,90 %

მეორე მხრივ, როგორც ვხედავთ, კერძო სამედიცინო დაზღვევით (დაზღვეულია 586.000 ადამიანი), ვერ სარგებლობს საქართველოს მოსახლეობის (დაახ. 3.718.000 ადამიანის) 85 %-ზე მეტი. ასევე, პოპულარობით მეორე ადგილზე მყოფი ავტომობილის დაზღვევით (დაზღვეულია 50.973 ავტომობილი) არ სარგებლობს საქართველოს ავტოპარკის (დაახ. 1.200.000 ავტომობილი) 96 %.

სამედიცინო დაზღვევის ნამდვილი წილი კიდევ უფრო მეტია (დაახ. 65 %), თუ სადაზღვევო სფეროს სტატისტიკურ მონაცემებს გამოვაკლებთ იმ კონტრაქტებს, რომლებიც სრულად გადაზღვეულია და სადაც ქართული სადაზღვევო კომპანიები თანხისა და რისკების მხოლოდ „გამტარები“ არიან. ეს მიანიშნებს, რომ ქართული დაზღვევა ძალიან დამოკიდებული და მგრძნობიარეა სამედიცინო სფეროში ცვლილებებზე: ინფლაციაზე, ფასებზე, ხარჯთეფექტურ ხარისხიან მკურნალობაზე, სახელმწიფო რეგულაციებზე და ა.შ.

**დაზღვევის ყველაზე ზარალიანი სახეობები:**

მთლიან შემოსავალთან შეფარდებით, დაზღვევის ყველაზე ზარალიანი (გაცხადების მიხედვით, საოპერაციო ხარჯების გარეშე) 5 სახეობა შემდეგია:

სამედიცინო დაზღვევა – 68,24 %

ავტომობილების დაზღვევა – 16,39 %

ქონების დაზღვევა – 6,67 %

სიცოცხლის დაზღვევა – 3,49 %

ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა – 2,79 %

**კომერსანტი**

## ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების ორი ფაქტი გამოავლინეს



გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების ორი ფაქტი გამოავლინეს. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, ქალაქ რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალას მიმდებარედ, 6,5 მ3 წიფლისა და მუხის სახეობის საშეშე მერქანი, მოქალაქეებს შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე გადაჰქონდათ. ფაქტთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები შედგა და შემდგომი რეაგირებისთვის, მასალები შესაბამის ორგანოს გადაეგზავნება.

## საგამოძიებო სამსახურმა უაქციზო სიგარეტის რეალიზაციის ფაქტზე ორი პირი დააკავა



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, თბილისში, სამეგრელოსა და ქვემო ქართლის რეგიონებში გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის, აქციზური მარკის გარეშე შენახვა – გადაზიდვა – რეალიზაციის სამი ფაქტი გამოავლინეს და ბრალდებულის სახით, ორი პირი დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქალაქ თბილისში, ზუგდიდისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში ამოღებულია სარეალიზაციოდ განკუთვნილი, სხვადასხვა დასახელების, საერთო ჯამში – 13.377 კოლოფი უაქციზო სიგარეტი, რომლის საბაზრო ღირებულება 37.000 ლარს აღემატება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის პირველი და მესამე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 8 წლამდე ვადით.

## ქართველმა სამართალდამცველებმა ვენის ინტერპოლის მიერ ძებნილი დააკავეს



თბილისის ინტერპოლისა და შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სასაზღვრო-საიმიგრაციო კონტროლი „სარფის" თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად, ვენის ინტერპოლის მიერ 2016 წლიდან საერთაშორისო დონეზე ძებნილი, 1963 წელს დაბადებული ი.კ. დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შსს-დან აცნობეს, დაკავებულს ბრალი ედება ავსტრიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 83-ე, 99-ე, 105-ე, 107-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც სხეულის დაზიანებას, თავისუფლების უკანონო აღკვეთას და არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირის დასამყარებლად უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს.

ამჟამად ი.კ.-ს მიმართ მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები.

## თაღლითობისათვის ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგა



თბილისის საქალაქო სასამართლომ არსებითად დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა თაღლითობის ფაქტზე, ბრალდებულ გ. მ.-ს მიმართ და მას საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად 4 წლის და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით, წარდგენილი ბრალის თანახმად, გ.მ-ს ბრალად ედებოდა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (5 ეპიზოდი). საქმის მასალების თანახმად, ბრალდებულმა ისარგებლა ხუთი სხვადასხვა პირის ნდობით და რომლებმაც მისი თხოვნით, აიღეს სესხი ბანკიდან, თითქოსდა ბრალდებულის კუთვნილი საწარმოდან მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრის შესაძენად. რეალურად კი, გ. მ. მოტყუებით დაეუფლა 16.000 ლარამდე თანხას და უკრაინაში გაემგზავრა.

სასამართლო განხილვა, ბრალდებულის დასწრების გარეშე მიმდინარეობდა, ვინაიდან მან თავი აარიდა სასამართლოსა და საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას და არის ძებნილი.

სასამართლომ, საქმეში არსებულ და სასამართლო სხდომებზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, ბრალდებული დამნაშავედ ცნო და მას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, რაც 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, შეუმცირდა 1/4 ით და ბრალდებულს, საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

## ომბუდსმენმა კობა გოგატიშვილთან დაკავშირებით პროკურატურას მიმართა



სახალხო დამცველმა „კორტების საქმის" ერთ-ერთ მთავარ მოწმე კობა გოგატიშვილთან დაკავშირებით პროკურატურას მიმართა.

როგორც სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ჟურნალისტებს შესაბამისი კითხვის საპასუხოდ განუცხადა, კობა გოგატიშვილი ომბუდსმენის ოფისში იმყოფებოდა და გამოხატავდა წუხილს იმასთან დაკავშირებით, რომ გარკვეული პერიოდის წინ გამოძიებას არასწორი ინფორმაცია მიაწოდა.

– ერთ-ერთი მთავარი მოწმე იმყოფებოდა ჩვენს ოფისში და გამოთქვამდა წუხილს იმასთან დაკავშირებით, რომ საქმესთან დაკავშირებით მან საგამოძიებო ორგანოებს არასწორი ინფორმაცია მიაწოდა.

მას კონკრეტული კონსულტაციებიც სჭირდებოდა. ჩვენ შევხვდით მას, გავესაუბრეთ და უახლოეს პერიოდში საგამოძიებო ორგანოში წარვადგენთ უფრო მეტ ინფორმაციას. მთავარ პროკურატურაში დღეს ჩვენ გავუგზავნით მიმართვას ამ საქმესთან დაკავშირებით არსებულ დეტალებზე, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

მისი თქმით, ომბუდსმენის პროკურატურისადმი მიმართვის შინაარსთან დაკავშირებით დეტალები მოგვიანებით გავრცელდება.

„კორტების სპეცოპერაციის" საქმის მთავარი მოწმის კობა გოგატიშვილის ინფორმაციით, ირაკლი ფირცხალავას შვილი მას „შუბლის გახვრეტით" დაემუქრა. როგორც მოწმემ განაცხადა, ფირცხალავს მეუღლე და შვილი მასზე ზეწოლას ახდენდნენ, რათა ჩვენება შეეცვალა. გოგატიშვილის ინფორმაციით, ნინო ხვიტია ჩვენების შეცვლის სანაცვლოდ მას 30 ათას დოლარს, საზღვარგარეთ გამგზავრებასა და იქ უზრუნველ ცხოვრებას პირდებოდა.

ნინო ხვიტია გოგატიშვილის წინააღმდეგ განხორციელებულ რაიმე სახის ქმედებას უარყოფს.

## ოჯახური ძალადობისათვის ბრალდებულს თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა



თბილისის საქალაქო სასამართლომ ყოფილ მეუღლეზე ძალადობის ფაქტზე ბრალდებულ გ. ხ.-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა.

საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით, გ. ხ.-ს ბრალად ედებოდა ოჯახური ძალადობა, ე.ი. ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი, რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება), 118-ე (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) და 120-ე (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ.

საქმის მასალების თანახმად, 2017 წლის 1 მაისს, ბრალდებულმა ყოფილ მეუღლეს არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით რამდენჯერმე დაარტყა ხელი და წააქცია, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

საქმის არსებითად განხილვისას ბრალდებულმა თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, თუმცა დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებების, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის, ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და სხვა მასალათა ერთობლიობის შეფასების შედეგად, სასამართლომ გ. ხ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და მას სასჯელის სახედ და ზომად 1 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

სასამართლოს აღნიშნული განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

## ნაძალადევში, საქართველოს ბანკის ფილიალთან, იარაღი იპოვეს




თბილისში, ნაძალადევის რაიონში მდებარე „საქართველოს ბანკის" დაცვის თანამშრომლებმა იარაღი იპოვეს.

როგორც „ნიუპოსტს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, დეტალებს არკვევენ.

## შსს-მ ნარკოტიკები ამოიღო



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1986 წელს დაბადებული მ.მ. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" სამინისტროდან აცნობეს, სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ნარკოტიკული საშუალების 1000 აბი ამოიღეს, რაც, ექსპერტიზის დასკვნით, 1,897 გრამ ბუპრენორფინს შეიცავს.

მათივე ცნობით, გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით).

## ვარკეთილში მოქალაქის ავტომობილს პოლიციის „პიკაპი" დაეჯახა



ვარკეთილში თვითმხილველთა განცხადებით, პოლიციის „პიკაპი" მოქალაქის ავტომობილს დაეჯახა. შემთხვევის შედეგად მსუბუქად დაშავდა ერთი პირი.

როგორც „ნიუპოსტს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ავტოსაგზაო შემთხვევა ორი ავტომობილის შედეგად მოხდა, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტით მოძრაობის და ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

## ბექა ბასილაია: „მესამე პრეზიდენტის ექსტრადირების ნება საქართველოს ხელისუფლებას აღარ აქვს"



მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის ბექა ბასილაიას განცხადებით, მესამე პრეზიდენტის ექსტრადირების ნება საქართველოს ხელისუფლებას აღარ აქვს, ამ ყველაფერს კი მოწმობს შს მინისტრის გიორგი მღებრიშვილისა და რუსი „პრანკერის" შესაძლო საუბარი, სადაც მღებრიშვილი რუს „პრანკერს" სთხოვს, რომ არ მოხდეს საქართველოში სააკაშვილის ექსტრადირება:

– ჩვენ კარგად გვახსოვს მინისტრ მღებრიშვილის ჩანაწერები, სადაც ის ეხვეწებოდა რუს პრანკერებს, ვინც უკრაინის შს მინისტრი ეგონა, რომ საქართველოს არ გადმოსცეთ მიხეილ სააკაშვილი, მეც ამას გთხოვთ და პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილიც. შესაბამისად, დღეს უმრავლესობის წევრების მხრიდან გულზე მჯიღის ცემა, რომ ჩვენ საქართველოში უნდა მოვითხოვოთ მიხეილ სააკაშვილის ექსტრადიცია და ა.შ. ეს არის ფარისევლობა, თუმცა რამდენადაც არსებობს შეთანხმება ქართულ ხელისუფლებასთან, რომ მიხეილ სააკაშვილი გადმოეცეს საქართველოს, მოულოდნელი ეს არ იქნება, – განაცხადა ბექა ბასილაიამ.

# კიმ ჩენ ინი კვლავ იმუქრება



ჩრდილოეთ კორეის დიქტატორმა კიმ ჩენ ინმა დაუშვებელი უწოდა მისი ქვეყნის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების შემოღებას.

– აშშ-მ ჩვენს წინააღმდეგ ნამდვილი ომი გააჩაღა! ვაშინგტონს ვაფრთხილებ: დამატებითი სანქციების შემოღების შემთხვევაში შავი დღე დაადგებათ, – თქვა კიმ ჩენ ინმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა ჩრდილოეთ კორეის დიქტატორის ამ მუქარას სასაცილო უწოდა.

– ძაღლი, რომელიც ყეფს, არ იკბინება! – განაცხადა ტრამპმა.

# მაკეინი კვლავ მხნედაა



სენატორი მაკეინი, რომელსაც თავში სიმსივნე აღმოუჩინეს, აქტიურ მოღვაწეობას განაგრძობს.

ის აშშ-ის კონგრესის იმ კომიტეტის თავმჯდომარეა, რომელიც შეიარაღებასთან დაკავშირებულ საქმეებს განაგებს. ჟურნალისტებთან საუბარში მაკეინმა განაცხადა, რომ მკურნალობა ჩინებულად მიდის. დაავადება სერიოზულია, მაგრამ ამ გამოწვევასაც გაუმკლავდება.

– მე ღირსეულად ვიცხოვრე, – ამბობს მაკენი.

ახლა სენატორის ხელმძღვანელობით ახალი კანონპროექტი მუშავდება. ის მალე მზად იქნება და კონგრესში განსახილველად გაიტანენ.

# ჰილარი კლინტონი პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრას აღარ აპირებს



აშშ-ის პრეზიდენტობის პრეტენდენტმა ჰილარი კლინტონმა ჟურნალისტებს ინტერვიუ მისცა. საუბრის ძირითადი თემა მისის კლინტონის წიგნი „რა მოხდა?!“ იყო.

წიგნში უკანასკნელი საპრეზიდენტო არჩევნებია მიმოხილული.

ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ ტრამპმა არჩევნებში რუსების ჩარევის შედეგად გაიმარჯვა. მიუხედავად ამისა, ქალბატონი ჰილარი პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრას აღარ აპირებს.

– ამერიკას ახალი სახეები სჭირდება, – განაცხადა მისის კლინტონმა.



# არჩევნები რუსეთში: მოსკოვის 14 რაიონში ოპოზიციამ გაიმარჯვა

რუსეთში ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა. მოსკოვის 14 რაიონში ოპოზიციის კანდიდატებმა გაიმარჯვეს.

ამჟამინდელი რეალობიდან გამომდინარე, ეს ოპოზიციის უდიდესი წარმატებაა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## კალეიდოსკოპი

# ბრიჟიტ მაკრონის პირველი ლედის სტატუსი აშინებდა

საფრანგეთის პრეზიდენტის მეუღლემ ბრიჟიტ მაკრონმა აღიარა, რომ პირველ ლედიდ გახდომის პერსპექტივით იყო შეშინებული და დარწმუნებული არ იყო, რომ ამ მოვალეობას თავს გაართმევდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი



გამოცემა ახალ წიგნზე დაყრდნობით ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის მეგობარმა და წიგნის ავტორმა ფილიპ ბესონმა საკუთარ ახალ ნაწარმოებში, მაკრონთან და მის მეუღლესთან ზოგიერთი საუბრები გამოამზეურა, რომლებიც მას წყვილთან ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ჰქონდა. ავტორმა ისაუბრა ბრიჟიტის რეაქციაზე, როდესაც მისი მეუღლე წინასაარჩევნო გამოკითხვას ჩაუდგა სათავეში.

– სულის სიღრმეში არ მინდოდა დამეჯერებინა, რომ მას შეეძლო გაემარჯვა, უფრო მეტად კი, საკუთარი თავის პირველ ლედიდ წარმოდგენა მაშინებდა, თუმცა მთელი ამ გამოკითხვების შედეგად დავრწმუნდი, რომ ეს შესაძლოა მომხდარიყო და ამან შემაშინა, – განაცხადა ბრიჟიტმა.

# პოლიცია ფლორიდელებს მოუწოდებს, არ ესროლონ ქარიშხალ „ირმას“



ამერიკის ფლორიდის შტატის პოლიციამ მოუწოდა ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებიც აპირებენ, რომ ქარიშხალ „ირმას“ სროლით შეხვდნენ, ამ წამოწყებაზე უარი თქვან, და ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამით სიტუაციას კიდევ უფრო მეტად გაართულებენ. ეს ინფორმაცია პასკოს ოლქის პოლიციის განყოფილების ტვიტერშია განთავსებული.

– თქვენ მის შებრუნებას ვერ შეძლებთ, ამასთან ეს მეტად სახიფათო გვერდით ეფექტს გამოიღებს, – ნათქვამია განცხადებაში.

მანამდე ფლორიდის მცხოვრებმა რიონ ედვარდსმა ფეისბუქში შექმნა გვერდი სახელწოდებით „დავცხრილავთ ქარიშხალ „ირმას““.

ამ ინფორმაციის გავრცელების მომენტისთვის, 26 ადამიანს გაკეთებული ჰქონდა განცხადება იმის თაობაზე, რომ ამ ღონისძიებას შეუერთდებიან. 53 ათასმა აღნიშნა, რომ დაინტერესებულნი არიან, ზოგიერთი კითხულობდა, შეიძლებოდა თუ არა ქარიშხალ „ირმასთვის“ ბალიშები ესროლათ. თავად 22 წლის ედვარდსის თქმით, მას ეს იდეა სტრესულ და მოწყენილ მდგომარეობაში ყოფნის დროს მოუვიდა და არ მოელოდა თუ მას ასეთი მასშტაბური გამოხმაურება მოჰყვებოდა.

ქარიშხალი „ირმა“ თავს დაატყდა კუბას. უფრო ადრე მან პუერტო-რიკოსა და ბრიტანეთის, ნიდერლანდებისა და საფრანგეთის კუთვნილ კუნძულებს გადაუარა. ქარიშხლის შედეგად მინიმუმ 22 ადამიანი დაიღუპა. გავრცელებული ინფორმაციით, ფლორიდაში სამი ადამიანია დაღუპული.



# მეგანი მარკლი პრინც ჰარისთან რომანზე ალაპარაკდა

მსახიობმა მეგანი მარკლმა გულახდილი ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ გამოცემას, რომელშიც პრინც ჰარისთან ურთიერთობაზე ისაუბრა. სერიალ „ფორს-მაჟორის“ ვარსკვლავმა განაცხადა, რომ მას და პრინც ჰარის ცხოვრებაში „განსაკუთრებული“ მომენტია.

– ჩვენ ორნი მართლაც ბედნიერი და შეყვარებული ადამიანები ვართ, – განაცხადა 36 წლის მსახიობმა.

მეგანიმ განაცხადა, რომ პრინც ჰარის და მისი ურთიერთობა იმაზე ექვსი თვით ადრე დაიწყო, ვიდრე ეს მთელი ქვეყნისთვის გახდებოდა ცნობილი. ხმები იმის თაობაზე, რომ დიდი ბრიტანეთის დედოფლის შვილიშვილი ამერიკელ ტელევარსკვლავს ხვდება, გასული წლის ივლისში გავრცელდა.

ბრიტანელი პრინცის მეგობარმა გოგონამ ასევე განაცხადა, რომ ამ სიტუაციას თავისი სირთულეებიც ახლავს და ის დროდადრო იმაზე რთული ხდება, ვიდრე დანარჩენ დღეებში.

– თუმცა ჩემ ირგვლივ მაინც არსებობს მხარდამჭერი სისტემა და, რა თქმა უნდა, ჩემი ბოიფრენდის მხარდაჭერა, – განაცხადა მარკლმა და იქვე დაამატა, რომ მისი და პრინცის ურთიერთობა განვითარების სტადიაში იმყოფება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### ვასწავლი

- მოვამზადებ ინგლისურსა და რუსულ ენებში დიპლომატიური განათლებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შეღავათიან ფასებში. მის.: ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. №118. ტელ.: 593-90-73-13, თამარი.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

- ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა – კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.
- გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა – პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.
- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ოზონატორი არის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.
- სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ბუ კარლსენი დაიფრინა, ჯობავა მერვედფინალის საგზურს ექიდება



თბილისში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშება ჭადრაკში სენსაციებით გრძელდება.

სანამ უმთავრეს სენსაციამდე მივიდოდეთ, გეტყვით, რომ ბაადურ ჯობავამ დაძაბულ სიტუაციაში შეძლო მეტოქის შეტევის მოგერიება და იან ნეპომნიაშისთან ფრედ დაასრულა შეხვედრა. ახლა ყველაფერს ტაი ბრეიკი გადაწყვეტს.

მესამე წრის და ტურნირის მთავარი მოულოდნელობა მაგნუს კარლსენის ჩინელ ბუ სიანჩჟისთან დამარცხება გახდა. ქომაგთა სამწუხაროდ, ნორვეგიელი ჩემპიონი ბრძოლას გამოეთიშა და შინ გაემგზავრება – ტურნირის მოსაგებად ჩამოსულმა კარლსენმა ნახევარი დისტანციის გავლაც ვერ შეძლო. ბუ სიანჩჟი შეჯიბრის მთავარი სენსაციის ავტორი გახდა.

ასპარეზობას გამოეთიშა მსოფლიოს ექსჩემპიონი ვლადიმირ კრამნიკიც, რომელიც ვასილ ივანჩუკთან დამარცხდა. ივანჩუკი ყველაზე ასაკოვანი მონაწილეა მერვედფინალში გასულთა შორის.

ვლადიმირ ფედოსეევთან ორთაბრძოლაში ნაადრევად გამოეთიშა ბრძოლას მსოფლიო საჭადრაკო რეიტინგ-სიის მე-10 ნომერი ჰიკარუ ნაკამურაც. ამერიკის სახელით მოასპარეზე სომ ძირითად დროში გაინაღდა მეოთხე წრის საგზური.

პირველი მარცხის შემდეგ ევროპის ჩემპიონმა მაქსიმ მატლაკოვმა ლევონ არონიანთან რევანში აიღო და ახლა დამატებითებში გაირკვევა საგზურის ბედი. არადა, არონიანს ფრეც ყოფნიდა.

ტურნირის კიდევ ერთმა უპირობო ფავორიტმა მაქსიმ ვაშიე-ლაგრავმა ვერ დაჯაბნა მსოფლიოს თასის დებიუტანტი ალექსანდრ ლინდერმანი და კიდევ მოუწევთ მინიმუმ 2 დაპირისპირება. ქართველების სიძის, ანიშ გირის ბედიც ტაი ბრეიკში გაირკვევა.

# ბაიერნში არეულობაა – ანჩელოტის და ლევანდოვსკის წასვლისკენ მოუწოდებენ



ჰოფენჰაიმთან მარცხის შემდეგ ძალიან დაიძაბა სიტუაცია ბაიერნის ირგვლივ. ყოფილ ფეხბურთელებსა თუ ექსპერტებს კრიტიკის ქარცეცხლში ჰყავს მწვრთნელ-ფეხბურთელები.

პაულ ბრაიტნერი გუნდის იტალიელ მწვრთნელს აკრიტიკებს და აცხადებს, რომ გუნდმა ნაბიჯი უკან გადადგა. თომას მიულერის როლი კი გერმანელ ლეგენდას ყველაზე მეტად აწუხებს.

პაულ ბრაიტნერი:

– რაც აკლია ბაიერნს, ეს სიგიჟეა და ქაოსი, როგორიც ეს პეპ გვარდიოლას დროს იყო. გუნდმა ერთი ნაბიჯით უკან დაიწია. ანჩელოტის მიზანი გუნდის განვითარება არ ყოფილა. არ გექნება სტილი, როდესაც უმოძრაობაა, არანაირი მოძრაობა არ შეინიშნებოდა, რამდენიმე ფეხბურთელი კი საერთოდ მოწყვეტილი იყო. თუ ფლანგზე დავაყენებ თომას მიულერს, მაშინ არ უნდა გამიკვირდეს, რომ შედეგს ვერ მივიღებ. ეს მისი თამაში არაა. თუ ასე გაგრძელდება, ის ნამდვილად ვერ დაეხმარება ბავარიელებს.

გუნდის ყოფილი კაპიტანი შტეფან ეფენბერგი თვლის, რომ პოლონელმა თავდამსხმელმა სხვა კლუბი უნდა მოძებნოს.

შტეფან ეფენბერგი:

– ბაიერნმა უნდა გაყიდოს რობერტ ლევანდოვსკი და გერმანული ბირთვი უნდა შეკრას მომავლისათვის, თუ პოლონელი თავდამსხმელი კმაყოფილი არაა კლუბის პოლიტიკით.

თავად ლევანდოვსკი გულახდილი იყო ჟურნალ შპიგელთან ინტერვიუს დროს:

– ბაიერნმა რაღაც ახალი უნდა მოიფიქროს, შემოქმედებითად უნდა მიუდგეს საქმეს, თუ კლუბს მსოფლიო კლასის ფეხბურთელებით სურს გუნდის დაკომპლექტება. თუ თქვენ მაღალ დონეზე გსურთ კონკურენცია, მაშინ თქვენ ასეთი ფეხბურთელების ხარისხი დაგჭირდებათ.

# საბურთალომ ბათუმის დინამო გაანადგურა



**საბურთალო-დინამო (ბთ) 5:0**

**თბილისი.** პეტრო არენა

1:0 ვოლკოვი (36), 2:0 ხარაიშვილი (38), 3:0 შინდაგორიძე (45პ), 4:0 ხარაიშვილი (82), 5:0 მუიეცი (86)

**საბურთალო:** კუპატაძე, იაშვილი, ცნობილაძე, გრიგალაშვილი, ნადარაია (მალი 77), თარხნიშვილი, ხარაიშვილი, ბიძინაშვილი, ვოლკოვი (გვარაძე 71), შინდაგორიძე, კოხრეიძე (მუიეცი 64)

**დინამო:** შოვნაძე, ფარტენაძე, მახარაძე, სუხიაშვილი, მგელაძე (მარცვალაძე 21), არზიანი, შონია, გრიგალაშვილი, ფლამარიონი, კვანტალიანი (ჭკუასელი 71), კვასოვი

საქართველოს ეროვნული ლიგის 25-ე ტური თბილისში, დავით პეტრიაშვილზე დასრულდა. საბურთალომ ბათუმის დინამოს უმასპინძლა და გიორგი ჭიაბრიშვილის შეგირდებმა გამანადგურებელი ანგარიშით, 5:0 მოიგეს.

საბურთალომ იოლად მოიგო, თუმცა მომენტები ბათუმელებსაც ჰქონდათ. გამოსარჩევია გიორგი ხარაიშვილის კარგი თამაში, რომელიც კარშიც ურტყამდა და თანაგუნდელებსაც ამარაგებდა პასებით. 2 მცდელობა გოლით დაასრულა – ორჯერვე საჯარიმო დარტყმა უზადოდ შეასრულა და თავისი გუნდის მე-2 და მე-4 გოლები გაიტანა.

მისი პასებით ვერ გაიტანეს გიორგი კოხრეიძემ და ლაშა შინდაგორიძემ. თუმცა, ამ უკანასკნელმა ზუსტად დაარტყა 11 მეტრიდან და ანგარიში 3:0 გახადა.

პირველი გოლი კი დავით ვოლკოვის იყო – ნოდარ იაშვილის შესანიშნავი ჩაწოდება გოლად აქცია. ახალგაზრდა შემტევმა ბათუმელთა მეკარე მოძრაობაზე დაიჭირა.

შეხვედრის საბოლოო ანგარიში კი 86-ე წუთზე ალბანელმა ნდუე მუიეციმ დააფიქსირა და ქართული კლუბის მაისურით სადებიუტო გოლი გაიტანა. ლაშა შინდაგორიძის დარტყმა შოვნაძემ კარის წინ მოიგერია, ხოლო დამატებაზე უცხოელი ლეგიონერი უშეცდომო იყო.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 25 | 18 | 3 | 4 | 63-18 | 57 |
| 2.ტორპედო | 25 | 14 | 6 | 5 | 34-20 | 48 |
| 3.სამტრედია | 25 | 14 | 6 | 5 | 39-25 | 48 |
| 4.ლოკომოტივი | 25 | 13 | 3 | 9 | 46-33 | 42 |
| 5.ჩიხურა | 25 | 11 | 4 | 10 | 32-39 | 37 |
| 6.საბურთალო | 25 | 11 | 4 | 10 | 37-28 | 37 |
| 7.დინამო (ბთ) | 25 | 8 | 2 | 15 | 22-37 | 26 |
| 8.დილა | 25 | 6 | 7 | 12 | 30-39 | 25 |
| 9.კოლხეთი | 25 | 4 | 7 | 14 | 22-46 | 19 |
| 10.შუქურა | 25 | 2 | 6 | 17 | 23-63 | 12 |

**ბომბარდირები:** ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი) – 19 ბურთი; დიმიტრი ტატანაშვილი(ჩიხურა) – 14; ბექა მიქელთაძე (დინამო თბ)– 11; მამია გავაშელიშვილი (ლოკომოტივი), მიკოლა კოვტალიუკი (დინამო თბ) – 10.

# ბარსელონაში საპრეზიდენტო არჩევნების მოლოდინია



ბარსელონას პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა აგუსტი ბენედიტომ პრეზიდენტის ჟოზეპ ბართომეუს გადაყენების კამპანია დაიწყო, რისთვისაც ბარსას წევრი 110.648 გულშემატკივრისგან 16.570 ხელმოწერის შეგროვება სჭირდება.

მიუხედავად იმისა, რომ ბარსამ ესპანიოლი პრიმერას მე-3 ტურში გაანადგურა (5:0) და ჩემპიონატის სტარტზე სამივე მატჩი მოიგო, ფანები თამაშის ბოლოს სკანდირებდნენ – ბართომეუ, გადადექი. მატჩამდე და ნამატჩევს კი „კამპ ნოუს" მახლობლად ხელისმომწერთა გრძელი რიგი იდგა.

კამპანიას შეუერთდა ბარსელონას ყოფილი პრეზიდენტი, ჟოან ლაპორტაც და კლუბის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთო.

ამის შესახებ ლაპორტამ თავის ტვიტერზე დაწერა – როგორც დანარჩენი 15.142 ადამიანის პარტნიორმა, ხელი მოვაწერე. ლაპორტა იმედოვნებს, რომ მისი თანამოაზრეთა რიცხვი გაიზრდება.

კლუბის ოფიციალური განცხადებით კი, ბენედიტოს განკარგულებაში 14 სამუშაო დღეა. მიუხედავად ამისა, მხარეები ჯერ საბოლოო თარიღზე არ შეთანხმებულან.

ბენედიტო თვლის, რომ ხელმოწერების შეგროვება 2 ოქტომბრამდეა შესაძლებელი, კლუბი კი მას აფრთხილებს, რომ ბოლო ვადა 19 სექტემბერია.

მიუხედავად ამისა, ფეხბურთელები დირექტორატის მხარეს არიან. ივან რაკიტიჩმა გუნდის სახელით სრული მხარდაჭერა გამოუცხადა კლუბის ხელმძღვანელობასა და პრეზიდენტს.

– ჩვენ 100 პროცენტით მხარს ვუჭერთ კლუბის ხელმძღვანელობას და პრეზიდენტს. ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ყველა გამარჯვებას ერთად უნდა მივაღწიოთ.

ბარსელონას სპორტული დირექტორი რობერტ ფერნანდესი იმ გულშემატკივრებს მიმართავს, რომლებიც ხოსეპ მარია ბართომეუს წასვლას ტრიბუნებიდან ითხოვდნენ.

– რთული თვე გვქონდა, ახლა კი სიმშვიდე აუცილებელია. ჩვენ პატივს ყველას ვცემთ. რასაც ეს გულშემატკივრები ამბობდნენ, ეს მათი მოსაზრებაა.

# შედეგები

**10 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბარნლი-კრ.პალასი ........................ 1:0
სუონსი-ნიუკასლი ........................ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 12-2 | 10 |
| 2.სიტი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-2 | 10 |
| 3.ჩელსი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 4.უოტფორდი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| 5.ტოტენჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-3 | 7 |
| 6.ჰადერსფილდი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 7 |
| 7.ბარნლი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 8.ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 8-8 | 7 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 7 |
| 10.ნიუკასლი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-3 | 6 |
| 11.არსენალი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-8 | 6 |
| 12.სტოკი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 13.საუთჰემპტონი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-4 | 5 |
| 14.ბრაიტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 15.სუონსი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |
| 16.ევერტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-6 | 4 |
| 17.ლესტერი | 4 | 1 | 0 | 3 | 6-8 | 3 |
| 18.ბორნმუთი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-8 | 0 |
| 19.კრ.პალასი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-7 | 0 |
| 20.ვესტ ჰემი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-10 | 0 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

დეპორტივო-სოსიედადი ................ 2:4
ბილბაო-ხირონა ........................ 2:0
სელტა-ალავესი ........................ 1:0
ვილიარეალი-ბეტისი .................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 9-0 | 9 |
| 2.სოსიედადი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-4 | 9 |
| 3.სევილია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 4.ბილბაო | 3 | 2 | 1 | 0 | 3-0 | 7 |
| 5.ლეგანესი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 6.ატლეტიკო | 3 | 1 | 2 | 0 | 7-3 | 5 |
| 7.რეალი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-3 | 5 |
| 8.ლევანტე | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 9.ვალენსია | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 10.ხეტაფე | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 11.ხირონა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 12.სელტა | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 13.ვილიარეალი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 14.ბეტისი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 15.ეიბარი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-4 | 3 |
| 16.დეპორტივო | 3 | 0 | 1 | 2 | 4-9 | 1 |
| 17.ესპანიოლი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |
| 18.მალაგა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 19.ალავესი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-4 | 0 |
| 20.ლას პალმასი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ტენერიფე-გრანადა ...................... 2:2
სარაგოსა-ალკორკონი .................. 0:1
ლეონესა-ვალიადოლიდი ................ 4:4
ალბასეტე-ლუგო ........................ 0:1
რაიო-ოსასუნა ........................... 0:3

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰერტა-ვერდერი ........................ 1:1
შალკე-შტუტგარტი ...................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| 2.ჰოფენჰაიმი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 3.ჰანოვერი | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| 4.ლაიპციგი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-3 | 6 |
| 5.შალკე | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| 6.ბაიერნი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 7.ჰამბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 8.აუგსბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 4 |
| 9.გლადბახი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 10.ჰერტა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 11.აინტრახტი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |
| 12.ვოლფსბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| 13.მაინცი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| 14.შტუტგარტი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| 15.ფრაიბურგი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-4 | 2 |
| 16.ვერდერი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| 17.ლევერკუზენი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-8 | 1 |
| 19.კიოლნი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-ზანდჰაუზენი .......... 1:1
დარმშტადი-ბოხუმი .................... 1:2
ფორტუნა-უნიონი ...................... 3:2

**იტალია. სერია ა**

ინტერი-სპალი .......................... 2:0
ატალანტა-სასუოლო .................. 2:1
კალიარი-კროტონე ...................... 1:0
ვერონა-ფიორენტინა .................... 0:5
უდინეზე-ჯენოა ......................... 1:0
ლაციო-მილანი .......................... 4:1
ბენევენტო-ტორინო .................... 0:1
ბოლონია-ნაპოლი ....................... 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-2 | 9 |
| 2.ნაპოლი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-2 | 9 |
| 3.ინტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 9 |
| 4.ლაციო | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 5.ტორინო | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 6.სამპდორია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 7.მილანი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-5 | 6 |
| 8.სპალი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 9.ბოლონია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| 10.რომა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 11.ფიორენტინა | 3 | 1 | 0 | 2 | 6-5 | 3 |
| 12.უდინეზე | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 13.ატალანტა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 14.კიევო | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 15.კალიარი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| 16.ჯენოა | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| 17.სასუოლო | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 18.კროტონე | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |
| 19.ვერონა | 3 | 0 | 1 | 2 | 1-8 | 1 |
| 20.ბენევენტო | 3 | 0 | 0 | 3 | 1-4 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

პარმა-ბრეშა ............................. 0:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

სტ.ეტიენი-ანჟე ......................... 1:1
ლიონი-გენგამი .......................... 2:1
მარსელი-რენი ........................... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 5 | 5 | 0 | 0 | 19-3 | 15 |
| 2.მონაკო | 5 | 4 | 0 | 1 | 14-8 | 12 |
| 3.ლიონი | 5 | 3 | 2 | 0 | 11-5 | 11 |
| 4.სტ.ეტიენი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-4 | 10 |
| 5.ბორდო | 5 | 2 | 3 | 0 | 9-6 | 9 |
| 6.კაენი | 5 | 3 | 0 | 2 | 5-3 | 9 |
| 7.ანჟე | 5 | 1 | 4 | 0 | 7-5 | 7 |
| 8.ნანტი | 5 | 2 | 1 | 2 | 2-4 | 7 |
| 9.ტულუზა | 5 | 2 | 1 | 2 | 8-11 | 7 |
| 10.მარსელი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-10 | 7 |
| 11.ნიცა | 5 | 2 | 0 | 3 | 7-6 | 6 |
| 12.გენგამი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-8 | 6 |
| 13.ამიენი | 5 | 2 | 0 | 3 | 4-7 | 6 |
| 14.რენი | 5 | 1 | 2 | 2 | 9-9 | 5 |
| 15.ტრუა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| 16.ლილი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 |
| 17.მონპელიე | 5 | 1 | 1 | 3 | 3-5 | 4 |
| 18.სტრასბური | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 19.დიჟონი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-12 | 4 |
| 20.მეცი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-12 | 0 |

**ჰოლანდია. ეზედივიზიონი**

ჰერენვენი-პსვ .......................... 2:0
ალკმაარი-ბრედა ....................... 2:1
სპარტა-ტვენტე ......................... 1:0
უტრეხტი-როდა ......................... 2:0
გრონინგენი-ვენლო ................... 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

სეტუბალი-ბრაგა ....................... 2:0
გიმარაეში-ბოავიშტა .................. 1:0
ეშტორილი-მორეირენსე .............. 0:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

დინამო-ზენიტი ......................... 0:0
უფა-კრასნოდარი ...................... 0:1
ახმატი-ლოკომოტივი ................... 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-სიონი ................... 3:2
ლუცერნი-თუნი ......................... 2:2
იანგ ბოიზი-ლუგანო .................. 3:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-რაპიდი ................... 2:2

**ბელგია. ა დივიზიონი**

გენტი-გენკი ............................. 1:1
სტანდარდი-შარლერუა ............... 0:0
მეხელენი-ოსტენდე .................... 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანიონიოსი-პანეთოლიკოსი .......... 1:1
აეკი-ლარისა ............................. 4:0
ლევადიაკოსი-პლატანიასი ............ 1:1
კერკირა-პანათინაიკოსი ............... 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ოსმანლი-გიოზთეფე ................... 0:2
ტრაბზონი-გენჩლერი ................. 3:1
ანთალია-გალათასარაი ................ 1:1
ბურსა-აკხისარი ........................ 3:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბოლესლავი-ბრნო ...................... 3:0
იიჰლავა-დუკლა ........................ 3:2
სპარტა-კარვინა ........................ 2:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ნეცეჩა-გურნიკი ....................... 1:2
პოგონი-ლეხი ........................... 0:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ზვეზდა-ჩერნომორეცი ............... 0:1
კარპატი-ვერესი ........................ 1:6
სტალი-მარიუპოლი .................... 0:1
დინამო-ოლექსანდრია ................ 3:0

**დანია. სუპერლიგა**

ლუნგბიუ-ჰელსინგერი ................ 3:1
კოპენჰაგენი-მიდტიულანდი .......... 4:3
ოდენსე-ბრონდბიუ ..................... 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰალმშტადი-ჰაკენი ................... 0:3
ჰამარბი-აიკი ........................... 1:1
ელფსბორგი-კალმარი .................. 2:2
იორებრო-მალმიო ...................... 2:1
იონჩოპინგი-ნორჩიოპინგი ........... 1:2
სირიუსი-სუნდსვალდი ................ 0:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ვალერენგა-სარპსბორგი ............. 1:2
კრისტიანსუნი-ტრომსო ............... 4:1
ალესუნდი-სტაბეკი .................... 1:1
სანდერფიორდი-ვიკინგი ............. 3:1
ჰაუგესუნდი-ლილესტრიომი ......... 1:1
სტრომგოდსეტი-რუსენბორგი ....... 0:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ილვესი-როვანიემი .................... 3:2
კემი-ჯჯკ ................................ 1:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## საფრანგეთში უცნობმა პირებმა ეკლესიაში ნაკურთხი წყალი ალკოჰოლით შეცვალეს



საფრანგეთის სოფელ სატო-შალონში უცნობმა პირებმა ეკლესიაში ნაკურთხი წყალი კონიაკით შეცვალეს. ამის თაობაზე ინფორმაცია ახლახან გავრცელდა, თუმცა თავად შემთხვევა აგვისტოს ბოლოს მოხდა.

სოფლის ეკლესიაში შესულმა ტურისტებმა ალკოჰოლის სუნი იგრძნეს და გიდს ჰკითხეს, ეს ადგილობრივი ტრადიცია ხომ არ იყო.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოძიება ჩაატარა და გამოარკვია, რომ ნაკურთხი წყლის ჭურჭელში უცნობმა პირებმა ერთი ლიტრი კონიაკი ჩაასხეს, ეკლესიაში მსახურება არ ტარდება და ამიტომ მომხდარი მაშინვე ვერ შენიშნეს.

ნაკურთხი წყლის ჭურჭელი გაიწმინდა და კვლავ ნაკურთხი წყლით შეივსო. ამ ინციდენტზე პასუხისმგებელი პიროვნებების ვინაობა დღემდე უცნობია.

## ამერიკელს საკუთარ საწოლში შიშველი მძარცველი ქალი დახვდა



ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ანდერსონში დააკავეს ქალი, რომელმაც სხვის სახლში შეაღწია და სრულიად შიშველმა დაიძინა. ამ ინფორმაციას ასოშეიტედ პრესი ავრცელებს.

სახლის პატრონი ამტკიცებს, რომ უცნაურობა მაშინვე შეატყო, როდესაც სახლში მისულს კარის ზღურბლთან გახსნილი ამანათი დახვდა. სახლში შესულმა სანახევროდ შეჭმული ბუტერბროდი და ბოლომდე დაულეველი ლუდი აღმოაჩინა. ასევე გამქრალი იყო სიგარეტის კოლოფი.

ამ ყოველივეში დამნაშავე აღმოჩნდა უცნობი შიშველი ქალი, რომელსაც მის საწოლში ეძინა. როდესაც მამაკაცმა ის გააღვიძა, ქალმა ჩაიცვა, გარეთ გავიდა და იქ დაელოდა პოლიციის მისვლას. ის სხვის შენობაში უკანონოდ შეღწევაშია ეჭვმიტანილი.

## კეიტ მიდლტონი შიშველი ფოტოებისთვის კომპენსაციას მიიღებს



კემბრიჯის ჰერცოგი და ჰერცოგინია 100 ათას ევროს მიიღებენ კომპენსაციის სახით კეიტ მიდლტონის შიშველი ფოტოსურათებისთვის, რომლებიც ხუთი წლის წინ ფრანგულმა გამოცემა ჩლოსერ-მა გამოაქვეყნა. ფრანგმა მოსამართლემ ფოტოსურათები პირად ცხოვრებაში შეჭრად შეაფასა.

მორალური ზიანისთვის კომპენსაციის სახით წყვილი 50 ათას ევროს მიიღებს. კიდევ 45 ათასი ევროთი სასამართლომ ჟურნალის რედაქტორი და მფლობელი დააჯარიმა. აღსანიშნავია, რომ ჰერცოგისა და ჰერცოგინიას ადვოკატის მიერ შეტანილ სარჩელში, კომპენსაციად 1,6 მილიონი ევრო იყო მოთხოვნილი.

კეიტ მიდლტონის ფოტოსურათები, რომლებზეც ის წელზევით შიშველია აღბეჭდილი, როდესაც პროვანსში მდებარე ვილას ტერასაზე ირუჯებოდა, პაპარაცების მიერ შორ მანძილზე გადამღები ობიექტივის დახმარებითაა გადაღებული. ეს სურათები ფრანგულმა ჟურნალმა 2012 წელს გარეკანსა და შიდა გვერდებზე გამოაქვეყნა. ამის საპასუხოდ, ჰერცოგმა და ჰერცოგინიამ სასამართლოში სარჩელი ექვსი ადამიანის წინააღმდეგ შეიტანეს, მათ შორის ფოტოგრაფსა და გამოცემის ყოფილ რედაქტორზე.

## ესპანეთის ხელისუფლებას ტურისტების მოძალება აშფოთებს




ესპანეთის ხელისუფლებამ შეშფოთება გამოთქვა ქვეყნის ბასკეთის რაიონში მდებარე კუნძულ გასტელუგაჩეზე ტურისტების მზარდ რაოდენობასთან დაკავშირებით, სადაც სერიალ „სამეფო ტახტის თამასების“ მეშვიდე სეზონის რამდენიმე სცენაა გადაღებული.

კუნძულ გასტელუგაჩეზე მდებარეობს სახელგანთქმული კიბე ურჩხულის ქვის რეზიდენციიდან. ორი თვის განმავლობაში ეს ადგილი დაახლოებით 75 ათასმა ტურისტმა მოინახულა. ფილმის გადაღებამდე კუნძული ტურისტებს შორის პოპულარობით არ სარგებლობდა და მას ძირითადად მცირერიცხოვანი ქრისტიანი მომლოცველები სტუმრობდნენ, რომლებიც იოანე ნათლისმცემლის სახელობის პატარა სამლოცველოს მოილოცებდნენ.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ აღნიშნა, რომ ტურისტების ასეთმა მოზღვავებამ შესაძლოა ამ ადგილს ზიანი მოუტანოს და ამიტომ ისინი კუნძულის მონახულების მსურველთათვის გარკვეული შეზღუდვების დაწესებას განიხილავენ.

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სერიალის პოპულარობას ზიანი მოაქვს იმ ადგილებისთვის, სადაც გადაღებები მიმდინარეობდა. 2016 წელს ტურისტების რეკორდული მოზღვავება აღინიშნა ხორვატიის დუბროვნიკში, რომელიც „სამეფო ტახტის თამაშების“ სამეფო ყურეს პროტოტიპად იქცა. მაშინ ქალაქის მერმა გამოაცხადა, რომ ქალაქის დამთვალიერებლებისთვის შეზღუდვების დაწესებას აპირებდა, რათა ქალაქისთვის გაუთვალისწინებელი შედეგი თავიდან აეცილებინა.

## ვივიენ ვესტვუდი და იურგენ ტელერი ნიუ-იორკში გამოფენას გახსნიან



ბრიტანელი დიზაინერი ვივიენ ვესტვუდი და გერმანელი ფოტოგრაფი იურგენ ტელერი ნიუ-იორკში გამოფენას გახსნიან, რომელიც მათ თანამშრომლობას ეძღვნება.

მოდელიერი და მოდის ფოტოგრაფიაში მოღვაწე ფოტოგრაფი უკვე ათ წელზე მეტია თანამშრომლობენ. იურგენ ტელერის ფოტოსურათების გამოფენა რეტროსპექტული გახდება, რომელიც ერთობლივი მუშაობის მრავალ წელს მოიცავს. ის ნიუ-იორკში ვივენ ვესტვუდის საფლაგმანო მაღაზიაში გაიხსნება. მასში ტელერის მიერ გადაღებული ვივიენ ვესტვუდისა და მის პარტნიორის ანდრეას კრონტალერის ფოტოსურათები შევა, მათ შორის მოდელიერის შიშველი ფოტოსურათებიც, რომელიც მან 68 წლის ასაკში გადაიღო.

ასევე გამოფენილი იქნება ჩასაცმელები და სარეკლამო პლაკატები, რომლებიც სხვადასხვა კამპანიების დროს იქნა გამოყენებული. გამოფენა ოქტომბრამდე გაგრძელდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ელისაბედ II-ის ბენტლი აუქციონზე გაიყიდება

ლონდონში შედგება აუქციონი, რომელზეც გაერთიანებული სამეფოს სამეფო ოჯახის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები გაიყიდება. ვაჭრობას აუქციონის სახლი Bonhams გამართავს.

აუქციონის ლოტებს შორისაა მწვანე ფერის ბენტლი, რომელიც დედოფალ ელისაბედ II-სთვის 2012 წელს იქნა შეძენილი. დედოფალი მისით 2014 წლის ჩათვლით სარგებლობდა. ავტომობილის საწყისი ფასი 230 ათასი დოლარია.



მიუხედავად იმისა, რომ ჰერალდიკური ნიშნები ავტომობილიდან უკვე მოხსნილია, ხოლო სარეგისტრაციო ნომერი – შეცვლილი, მის ნავიგაციაში დღემდე უინძორის ციხე-სიმაგრე აღნიშნულია, როგორც „სახლი“.

დედოფლის ბენტლის გარდა, აუქციონზე ასევე გაიყიდება 1980 წლის როლს-როისი, რომლითაც ოფიციალურ და კერძო ღონისძიებებზე სარგებლობდა პრინცესა მარგარეტი, ელისაბედ II-ის უმცროსი და, რომელიც 2002 წელს გარდაიცვალა.

## საფრანგეთში ივ სენ-ლორანის პარტნიორი გარდაიცვალა



საფრანგეთში პიერ ბერჟე გარდაიცვალა, ივ სენ-ლორანის პარტნიორი და მისი მარკის დამფუძნებელი. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ფრანგული გამოცემა ავრცელებს.

პიერ ბერჟე – მეწარმე და ხელოვნების მფარველი – 86 წლის ასაკში საკუთარ ქალაქ გარე სახლში სან-რემი-დე–პროვანსში გარდაიცვალა, რომელიც სამხრეთ საფრანგეთში მდებარეობს.

ფრანგულ მოდაში ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა. სწორედ პიერ ბერჟეს დამსახურებაა ჴვეს შაინტ აურენტ-ს სახლის შექმნა. ის ასევე ცნობილი იყო, როგორც ბიბლიოფილი, კოლექციონერი და ჰომოსექსუალების უფლებების დაცვისთვის მებრძოლი. ის გარდაიცვალა მისი ფონდის მიერ დაფინანსებული ორი მუზეუმის გახსნამდე, რომლებიც ივ სენ-ლორანის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნებოდა. ისინი პარიზსა და მაროკოში მიმდინარე წელს გაიხსნება.

## ასტროპროგნოზი

### 12 სექტემბერი



**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა. ფინანსურად ძლიერდებით და ყველაფერი იოლად გამოგდით. **კურო** – სხვების გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. საკუთარ პრინციპებს პატივი ეცით. მიხედეთ პირად ცხოვრებას. **ტყუპები** – მოსალოდნელია კარიერული წინსვლა. საქმე მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის გათვალისწინებით აკეთეთ. **კირჩხიბი** – სამომავლო გეგმებში კორექტივები შეგაქვთ. შესაძლოა, ახალი, საინტერესო სამსახურიც იშოვოთ. **ლომი** – მძიმე დღეა, განსაკუთრებით მატერიალური კუთხით. ბედი გამოცდას გიწყობთ. ნებისყოფა მოიკრიბეთ. **ქალწული** – დღეს ძალიან გაუმართლებთ ხელოვნების სფეროში მომუშავე ადამიანებს. პრობლემების მოგვარებასა და ჩანაფიქრის რეალიზებაში ხელი არ შეგეშლებათ. **სასწორი** – კონფლიქტური დღეა. საოჯახო საქმეების მოგვარებაც დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. **ღრიანკალი** – მამაკაცებისთვის იღბლიანი პერიოდია. განსაკუთრებით იოლად მოახერხებთ საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებას. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი საქმიანობა წარმატებული იქნება და კმაყოფილებას მოგგვრით. გელით ურთიერთობა საინტერესო ადამიანებთან. **თხის რქა** – საკუთარ ჯანმრთელობას ყურადღებით მოეკიდეთ. ზომიერად დაკავდით სპორტით. **მერწყული** – ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავთ, რაშიც თქვენი ენერგიულობა და პრინციპულობა დაგეხმარებათ. **თევზები** – აქტიურად დაისვენეთ. მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა სასარგებლო იქნება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ამერიკული კოსმეტიკური ფირმა; 2. წაგრძელებული, სწორკუთხა, უგუმბათო ტაძარი; 3. უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან; 4. კუთხე საქართველოში; 5. საკანონმდებლო ორგანო; 10. არგენტინის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 11. ყველაზე წვრილი ფული ბრიტანეთში; 12. ძველებური ფრანგული ოქროს ფული; 13. გემის სამზარეულო; 16. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 17. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-თეატრალური წარმოდგენა; 19. ევროპელ ებრაელთა საერთო სახელწოდება; 21. პორტატული გეოდეზიური ხელსაწყო; 23. უზენაესი ღვთაება ეგვიპტურ მითოლოგიაში.

**თარაზულად:** 6. ტბა საქართველოში; 7. ძუნწი, ძალზე ხელმომჭირნე ადამიანი; 8. მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 9. სამონასტრო კომპლექსი თეთრიწყაროს რაიონში; 14. გრიგოლ აბაშიძის რომანი; 15. ქართველი მწერალი; 18. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი; 20. მდგომარეობა კრივში; 22. ქართველ მწერალ ლეო შენგელაიას ლიტერატურული ფსევდონიმი; 24. მაკედონიის დედაქალაქი; 25. მაღალხარისხოვანი ნაყინი; 26. ქართული რადიო.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. კალიფორნია; 4. კაქტუსი; 7. მენზურა; 9. თეორემა; 10. ლეიბი; 12. პრეფექტი; 16. მარაბელი; 17. ინდექსი; 18. მეტიზაცია; 20. რევერსი; 21. სინი; 22. კონტაქტი.

**შვეულად:** 1. კომეტა; 2. ოკრიბა; 3. იურთი; 5. ტიტა; 6. სურამი; 8. არიელი; 11. ეპიცენტრი; 13. კანდელი; 14. სიმენსი; 15. მინიონი; 19. იოტა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. არისა; 2. იდეა; 3. რემბო; 4. პრესა; 5. რძე; 6. აისი; 7. ეპოსი; 8. პაი; 9. ნამიბია; 10. ოლოლო; 11. რა; 12. არტელი; 13. ფირალი; 14. პენტაგონი; 15. ალენ; 16. აბორტი; 17. ეტლი; 18. ფიალა; 19. პა; 20. მალიბუ; 21. მეი; 22. კონტრა; 23. აპკი; 24. „აპასიონატა“; 25. კანტატა; 26. რკალი; 27. ნოტა; 28. კრიმინალი; 29. სტარტი; 30. ლიბრეტო; 31. ერა; 32. აული.

**სურათებზე:** ლუიზიანა ლოპილატო; პედრო ლეონი.

# მაკა ასათიანის შვილი დაქორწინდა



მაკა ასათიანის და მერაბ ჟორდანიას უფროსმა შვილმა კახი ჟორდანიამ ცოლი მოიყვანა. მისი რჩეული ნანიკო კლდიაშვილია. წყვილს ნიშნობა რამდენიმე თვის წინ ჰქონდა, ახლა კი ხელი მოაწერეს და ჯვარიც დაიწერეს.

წყვილმა ჯვარი ქვაშვეთის ტაძარში დაიწერა, საქორწილო სუფრა კი შატო მუხრანში გაიშალა. პატარძალს დიზაინერ ჯაბა დიასამიძის მიერ შეკერილი საქორწილო კაბა ეცვა.

ჯვრისწერის ფოტოები კახი ჟორდანიას მამიდამ ხათუნა ჟორდანიამ სოციალურ ქსელში გაავრცელა.

# თეონა დვალი გათხოვდა

ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი თეონა დვალი გათხოვდა. მისი რჩეული იტალიელი ბიზნესმენი ჯაკომო რაკუნიოა. წყვილმა ერთმანეთი რამდენიმე წლის წინ გაიცნო. მათი მეგობრობა მოგვიანებით სიყვარულში გადაიზარდა და ქორწინებით დასრულდა.

ქართველი საოპერო მომღერლის და იტალიელი ბიზნესმენის ქორწილი იტალიაში შედგა. მათ საკუთარი ბედნიერების



გასაზიარებლად 150 უახლოესი ადამიანი მიიწვიეს. მათ შორის იყვნენ თეონას სტუმრები საქართველოდან.

საკურთხეველთან პატარძალი მამამ მიაცილა. იტალიის შემდეგ, თეონა და ჯაკომო ქორწილის გადახდას საქართველოშიც აპირებენ, თუმცა კონკრეტული თარიღი ჯერ არ დაუდგენიათ.

# ტაო-კლარჯეთში უცნობი მონასტერი აღმოაჩინეს



კვლევის ცენტრმა ტაოში აკრიაკის უცნობი, კლდეში ნაკვეთი მონასტერი აღმოაჩინა.

ამ აღმოჩენასთან დაკავშირებით კვლევის ცენტრმა ოფიციალური განცხადება გაავრცელა:

– ჩვენმა ექსპედიციამ ტაოში კლდეში ნაკვეთ, უცნობ მონასტერს მიაკვლია! კომპლექსი ისტორიულ სოფელ აკრიაკთან მდებარეობს. მთავარი ეკლესია კლდეშია ჩაშენებული, მისი სიგრძე 10 მეტრია, მისი სამხრეთი კედელი ჩამოქცეულია, ეკლესიასთან დაკავშირება კლდეში ნაკვეთი გვირაბით ხდებოდა. აქვეა მცირე ზომის სამლოცველოც, კლდეში სხვადასხვა ზომის ნაგებობებია ნაკვეთი. კომპლექსის თავზე სახიზარია, რომელიც ამოშენებულია კედლით. კლდის მონასტრის შესახებ წერილობითი წყაროები ან სხვა ცნობები არ მოგვეპოვება.

# ბაკურციხეში წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახლ-მუზეუმის მშენებლობა დასრულდა



გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხეში წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახლ-მუზეუმის მშენებლობა დასრულდა.

განახლებული სახლ-მუზეუმი მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა გაგი ბუაძემ, წმინდა გრიგოლ ფერაძის შთამომავლობამ და პოლონური რესპუბლიკის წარმომადგენლებმა საზეიმო ვითარებაში გახსნეს.

მუნიციპალური განვითარების ფონდმა სახლ-მუზეუმის მშენებლობა-რეაბილიტაცია საქართველოს მთავრობის დაფინანსებით განახორციელა. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ნანგრევების საკონსერვაციო სამუშაოები და აშენდა ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მუზეუმი.

სახლის შემორჩენილი, მცირე ფრაგმენტის აღდგენა შეუძლებელი იყო, ამიტომ, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ჩატარდა ნანგრევების საკონსერვაციო სამუშაოები და იქვე აშენდა ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მუზეუმი.

ბაკურციხეში ხშირად ჩადიან უცხოელი და ადგილობრივი სტუმრები და წმინდანის ცხოვრებით დაინტერესებული მკვლევარები, ამიტომ, მოეწყო ერთგვარი სადისკუსიო სივრცე, შეხვედრების დარბაზი. ასევე, არსებული ტერიტორია მოეწყო და შემოიღობა.

პროექტის ღირებულება 396 693,00 ლარია. სამშენებლო სამუშაოები გასული წლის ნოემბერში დაიწყო.

მუნიციპალური განვითარების ფონდის ინფორმაციით, პროექტის მიზანია სახლ-მუზეუმის პირვანდელი იერსახის შენარჩუნება და კახეთის რეგიონში ტურიზმის ხელშეწყობა.

# კვიპროსში ქართული კულტურის ფესტივალი გაიმართება



კვიპროსში ქართული კულტურის ფესტივალი გაიმართება. საქართველოს საელჩოს კვიპროსში, ფესტივალის ორგანიზატორის და მხარდამჭერების გადაწყვეტილებით ქართული კულტურის ფესტივალზე, რომელშიც მონაწილეობას იღებენ „სუხიშვილები" და ქართული პანტომიმის თეატრი, ქართველი და პონტიელი მაყურებლისთვის, ასევე, საქართველოს გამორჩეული მეგობრებისთვის, დასწრება უფასოა.

ფესტივალი ჩატარდება 13 სექტემბერს ლიმასოლში და 15 სექტემბერს ნიქოზიაში. სამწუხაროდ, დიდი სურვილის მიუხედავად, სხვადასხვა გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო, პაფოსში კონცერტი ვერ ჩატარდება, მაგრამ ფესტივალის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, პაფოსელებს სურვილის შემთხვევაში სხვა ქალაქებში ფესტივალზე დასწრების საშუალება, რა თქმა უნდა, უფასოდ შეეძლებათ.

# პაატა ბურჭულაძე: „ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება"



საოპერო მომღერალი პაატა ბურჭულაძე რუსეთში სანკტ-პეტერბურგის მიხაილოვსკის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა.

პაატა ბურჭულაძემ გადაწყვიტა, საოპერო მუსიკის ერთგულ მსმენელთან აქტიური ურთიერთობა ჰქონდეს და ამისთვის ინსტაგრამზე დარეგისტრირდა:

– მოხარული ვარ, მივესალმო საოპერო მუსიკის მოყვარულებს ჩემს ინსტაგრამის ოფიციალურ გვერდზე. ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. ივლისში მიხაილოვსკის ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა დავიკავე და აქ გაგიზიარებთ თეატრის ცხოვრების ყველაზე საინტერესო მომენტებს. ჩემთვის უმნიშვნელოვანესია თქვენი მოსაზრებები, ამიტომ ყოველთვის გამიხარდება თქვენი კომენტარები და თქვენ მიერ დასმული კითხვები სხვადასხვა თემაზე.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



საერთაშორისო აკადემია „GUMA-მერიდიანი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## გივი როგავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მშვიდობით, ბატონო გივი, ღმერთმა ნათელი დაგიმკვიდროს. მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური მიწა.

მეუღლე ლუიზა კაჭარავა, შვილი ნანა კოდუა, სიძე მიხეილ მიქაძე, შვილიშვილები ბექა, ლაშა მიქაძეები, ძმა გურამ კოდუა, ძმისშვილები კახაბერ და გიორგი კოდუები, რძალი ნელი ხალაძე, ცოლისძმები ტოგო და ზაურ კაჭარავები ოჯახებით, ცოლის დისშვილები მაკა და მერაბ არჩვაძეები. ბიძაშვილისშვილები: ციალა გრიგოლია, მანონი, მაცაცო, დარიკო, მამუკა, ნინო, ბესო კოდუები, დეიდაშვილისშვილები ზურაბ, ნინელი, მარინა, ნანი კუხალაშვილები, ვალერი ფარულავა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## ნოდარ პავლეს ძე კოდუა

პანაშვიდი: 12, 13 სექტემბერს, 16 საათიდან.

დაკრძალვა: 14 სექტემბერს, 14 საათზე.

მისამართი: გლდანის მე-V მიკრორაიონი, მე-18 კორპუსი, III სადარბაზო, ბინა 58.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

**სამშაბათი 12 სექტემბერი**

**06.00** მუსიკა პირველზე **06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი" გენიოსი ბიჭუნა" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 21.25** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**გამარჯვებული ვიქტორია**" **10.00, 02.35** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** ევრობასკეტ- **2017 13.00, 03.35** დღის მხ/ფ "**იუველირების სანაპირო**" **15.00, 05.20** დოკ/ფ "როცა რობოტები ბატონობენ" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **19.35 კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. **1/4** ფინალური მატჩი პირდაპირი სტამბოლიდან. **22.00** "სპორტის დაფა" **22.20 კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. **1/4** ფინალური მატჩი პირდაპირი სტამბოლიდან. **00.10** მხ/ფ "**და ვინჩის კოდი**" (ო.ტოტუ)

**06.30** სერ. "**ღირსების სახელით**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.55** ქრონიკა **10.10** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **14.40** სერ. "**ელიფი**" **16.00** სერ. "**ოჯახური პორტრეტი**" **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" **22.00** პოლიტიკური თოქ შოუ – ამომრჩევლის პირისპირ **23.30** სერ. "**ელ პრინსიპე**" **01.00** მხ/ფ "**ვერსალის ბაღები**" **03.10** მხ/ფ "**სასიკვდილო დარტყმა**" **04.40** მხ/ფ "**ელიტარული საზოგადოება**"

**06.00** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" **18.50** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **20.03** სერ. "**დედამთილი**" **22.00** არჩევალი **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

GDS **08.00** ან/ფ "ვარსკვლავური ომები" **09.00, 19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი**" **11.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **13.00** სერ. "**ძვლები-5**" **17.00** სერ. "**სიმართლის ანატომია 3**" **21.00** სერ. "**სპირალი**" **22.30** მხ/ფ "**ძალადობის ისტორია**" **00.30** მხ/ფ "**სიჩქარის წყურვილი**" **02.50** მხ/ფ "**გატაცება სამოც წამში**" **05.00** მხ/ფ "**გიჟური რბოლა**" **06.35** მხ/ფ "**გაქცევა**"

იბერია **08.00** ანანდა **08.05** მულტფილმი **08.15** მულტ/სერ. "ლეკვი ჩემს ჯიბეში" **08.40, 21.00** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **09.40, 22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 21.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 00.00** ახალი ამბები **12.00, 3.20** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 02.20** მოდი გავეყაროთ **16.00, 4.00** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00, 5.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **23.00** კრაზანა **00.30** მხ/ფ

**06.10** დ/ფ "ველური ბუნება-მანტერას გრძელი გასეირნება" **06.35** მუს. პაუზა **06.40** სპექტაკლი "**სამეფო ოჯახი**" I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** პატერიკი **10.20** სპექტაკლი "**სამეფო ოჯახი**" II ნაწ. **11.25** ღვთის სახლი "შიდა ქართლი" **12.10** მოკ. მხ/ფ "**ნისლა**" **12.30** საქართველო ევროპულ ოჯახში **13.30** ან/ფ "პინოქიო" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ ვულფი-როიალ ვიკინგ სანის ბორტის მენიუ" **15.45** დ/ფ "უკვდავი სული-ილია ჭავჭავაძის" **16.50** ქრისტიანული ხელოვნება "მოგონებები ვახტანგ ბერიძეზე" **17.25** ჩვენი ფონდი **18.10** საქართველოს ქალაქები "სიღნაღი" **18.40** ძველი ათქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.30** კვირიაკის სიუჟეტი "ილია მართალი" **19.40** დ/ფ "სიცოცხლე გარდაცვალების შემდეგ" **20.10** ღია აუდიტორია "ჯანგირ ელიაშვილი" **20.40** ძილი ნებისა "ფიფქია და **7** ჯუჯა" **21.00** პატრიარქის ქადაგება **22.25** ჩვენი ფონდი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **23.40** ღვთის სახლი **00.30** საღვთისმეტყველო საუბრები

მაესტრო **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

12 სექტემბრისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.4618 | ევრო — 2.9702 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2451 | 100 რუსული რუბლი — 4.3150 |

## ამინდის პროგნოზი

12 სექტემბრისთვის




## 12 სექტემბრიდან




ქართული დეტექტივი
მე-15 ტომი

მაია ბურჭულაძე

**უფასო ბილეთი წარსულში**

**ორშაბათის სიზმარი**

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 13 სექტემბრიდან

### ქართული ჰაგიოგრაფია

წიგნში თავმოყრილია სამი ჰაგიოგრაფიული ძეგლის — „შუშანიკის წამების", „აბოს წამებისა" და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" — პარალელური ტექსტები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ძველ ქართულ ორიგინალს, ხოლო მეორე — ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ უზუსტეს ვერსიას.




**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## 14 სექტემბრიდან




### ელენე ახვლედიანი

მაღალი პოლიგრაფიული დონით შესრულებული ალბომი არაჩვეულებრივი საჩუქარია მხატვრის თაყვანისმცემლებისთვის და არამარტო მათთვის.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 15 სექტემბრიდან

ედუარდ ლირი

### ბუკნაჭო და ფისუნია




კრებულში შესულ ყოველ ლექსს განთქმული მხატვრის, რობერტ ინგპენის, ხალისიანი ილუსტრაციები ამშვენებს.

წიგნი ბრწყინვალე საჩუქარია პატარებისთვის, რომელიც მათ კიდევ მრავალი საუკუნის განმავლობაში განუვითარებს მათ წარმოსახვის უნარს.

**ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი**

## ედენ აზარს ჩემპიონთა ლიგის მოგება სურს



ჩელსის ერთ-ერთმა ლიდერმა ედენ აზარმა განაცხადა, რომ დროა, მისმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე იფიქროს. აზარის თქმით, ჩელსის შეუძლია ამის გაკეთება, მაგრამ ყველაფერთან ერთად იღბალიც საჭიროა.

— ჩელსის უკვე დიდი ხანია, ევროპაში წარმატებით არ უასპარეზია, ამიტომ დროა, რომ ეს შეიცვალოს. ჩემპიონთა ლიგის მოგება ურთულესი იქნება, მაგრამ მჯერა, რომ ჩვენ ამას შევძლებთ. ჩელსის ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეუძლია, — განაცხადა ედენ აზარმა. ჩელსიმ ჩემპიონთა ლიგა 2012 წელს მოიგო, როდესაც მათ ფინალში მიუნხენის ბაიერნი დაამარცხეს, ნახევარფინალში კი მრისხანე ბარსელონას ბარიერი გადალახეს.

## იუმორი



მძარცველი მაღაზიაში მოლარეს უბრძანებს:

— ფული პაკეტში ჩადე!

— კი ბატონო, მაგრამ ეგ პაკეტი ორი ლარი ღირს.

— ოხ, შე ძუკნავ! — კბილებში გამოსცრა მძარცველმა და ჯიბიდან თავისი პაკეტი ამოიღო, — ამაში ჩადე ფული, ჩქარა!

●●●

ჯარში გამწვევ სამედიცინო კომისიაზე ტყუპი ძმები გადიან შემოწმებას. კომისიიდან გამოსულ პირველ ძმას მეორე ეკითხება:

— აბა, როგორაა საქმე?

— დამბრაკეს.

— მაინც გახდილი ხარ და მიდი, ჩემ მაგივრადაც გაიარე ბარემ შემოწმება.

პირველი ძმა ისევ შებრუნდა. გარკვეული დროის მერე გამოვიდა და ტყუპისცალს ეუბნება:

— შენ აგიყვანეს.

●●●

აფთიაქში ქალი და კაცი შევიდნენ. ქალი გამყიდველს ომახიანად ეკითხება:

— როგორი პრეზერვატივები გაქვთ?

— აგერ იმ ვიტრინასთან მიბრძანდით და თავად შეარჩიეთ.

ამ დროს მამაკაცი გამყიდველს ჩურჩულით ეუბნება:

— და ძილის წამალიც, თუ შეიძლება.

●●●

სახლში დაბრუნებულ შვილს მამა ეკითხება:

— შვილო, რა შეგემთხვა? თვალი რატომ გაქვს ჩალურჯებული?

— სამნი თავს დამესხნენ, საათის წართმევა უნდოდათ.

— მათ ცნობას შეძლებ?

— მე რატომ უნდა ვიცნო, დაე, მათმა მშობლებმა ამოიცნონ.

●●●

მამაკაცი მეზობლის ეზოს კარზე აკაკუნებს, მაგრამ არავინ ეხმიანება. ამ დროს კართან ძაღლი მივიდა და ეუბნება:

— ტყუილად ნუ აკაკუნებ, სახლში არ არიან.

კაცს მოულოდნელობისგან გული წაუვიდა. გონს მოსულმა, ძაღლს შეხედა და ეკითხება:

— შენ რა, ყეფა არ იცი?

— როგორ არ ვიცი, მაგრამ შენი შეშინება არ მინდოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## 7 სექტემბრიდან




### რჩეული ქართული ზღაპრები

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## რაფაელ ნადალმა ამერიკის ღია პირველობა მოიგო



ესპანელმა ჩოგბურთელმა რაფაელ ნადალმა ამერიკის ღია პირველობა კიდევ ერთხელ მოიგო. ფინალში რაფამ სამხრეთაფრიკელი კევინ ანდერსონი სამ სეტში დაამარცხა ანგარიშით 6:3, 6:3, 6:4 და კარიერის მანძილზე მეთექვსმეტე დიდი სლემის ტურნირი მოიგო. ამრიგად, ნადალი მიუახლოვდა ფედერერს, რომლის ანგარიშზე 19 დიდი სლემის ტურნირია.

ფინალური შეხვედრა არ იყო ნადალისთვის ისეთი იოლი, როგორც ეს ანგარიშიდან ჩანს, მაგრამ ესპანელი ჩოგბურთელი აკონტროლებდა მატჩის სადავეებს, ანდერსონმა მას ვერაფერი დაუპირისპირა.

მატჩის შემდეგ ნადალმა მადლობა გადაუხადა ყველა მის მხარდამჭერს და თქვა, რომ ჩოგბურთისგან მცირე ხნით დაისვენებს, შემდეგ კი ისევ დაუბრუნდება კორტებს.

## ბეილი: „შევცდი, ტრავმა ბოლომდე რომ არ მოვიშუშე"



მადრიდის რეალის უელსელმა ფეხბურთელმა გარეტ ბეილმა თავის ტრავმებზე ისაუბრა და თქვა, რომ მას ხშირად უწევდა ტკივილგამაყუჩებლის მიღება, რომ მოედანზე გამოსულიყო. ბეილის თქმით, მან შეცდომა დაუშვა, რომ ტრავმა ბოლომდე არ მოიშუშა და მოედანს დროზე ადრე დაუბრუნდა.

— როდესაც ჩემი თანაგუნდელები თამაშობდნენ, ძალიან მინდოდა მათთან ერთად ვყოფილიყავი, ამიტომ ტრავმა ბოლომდე არ მოვიშუშე, რასაც ახლა ვნანობ. მინდა რეალისთვის მაქსიმუმი გავაკეთო და იმედია ტრავმები ამაში ხელს არ შემიშლის, — განაცხადა გარეტ ბეილმა.

ბეილი რეალის ღირსებას 2013 წლიდან იცავს, როდესაც მადრიდულმა კლუბმა მის ტრანსფერში 100 მილიონი ევრო გადაიხადა.

## ლუის ენრიკემ შესაძლოა ჩინური კლუბი ჩაიბაროს

ბარსელონას ყოფილმა მწვრთნელმა ლუის ენრიკემ შესაძლოა სამწვრთნელო კარიერა ჩინეთში გააგრძელოს და შანხაის ერთ-ერთი გუნდის დამრიგებელი გახდეს.

ლუის ენრიკემ ბარსელონაში 3 სეზონი გაატარა და ამ ხნის მანძილზე 9 ტიტულის მოგება მოახერხა, მათ შორის იყო 2 ესპანეთის ჩემპიონატი და 1 ჩემპიონთა ლიგა. მიუხედავად ასეთი წარმატებებისა, მაისში ლუის ენრიკემ კატალონიური გუნდი დატოვა და ამჟამად ის არც ერთ კლუბში არ მუშაობს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლუის ენრიკე ჩინეთში მუშაობას იანვარში შეუდგება.



მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. სიმღერა აკომპანიმენტის გარეშე; 2. აირის, სითხის მინერალებისგან გასაწმენდი ხელსაწყო; 3. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი; 4. ხორბლის, მარცვლეულის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 5. მწვერვალი კავკასიონზე; 7. როკ-ანსაბლ „იუ-თუ-ს"ლიდერი ბრიტანეთის საპატიო რაინდის ტიტულის კავალერი; 11. ძლიერი ფეთქებადი ნივთიერება; 13. იტალიური პელმენი; 15. საშობაო სიმღერა; 16. „ვეფხისტყაოსნის" დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 18. კამეჩის ან ძროხის ტყავისგან დამზადებული წყლის საზიდი დიდი ტიკი; 19. იაპონური აბანო.

**თარაზულად:** 6. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 8. ოჩამჩირეს ძველი ბერძნული სახელწოდება; 9. ეკლესია თბილისში; 10. საპატიო თანხლება; 12. პოლიტიკური პარტია საქართველოში; 14. დაქირავებული კავალერი; 17. შვეიცარული ფარმაცევტული ფირმა; 20. ერთი და იგივე სიმაღლის ორი ან მეტი მუსიკალური ბგერის ერთდროული ჟღერადობა; 21. თავისუფალი მოქალაქე ძველ რომში, რომელსაც არავითარი პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდა; 22. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 23. თერმომეტრის გამომგონებელი შვედი ასტრონომი, ფიზიკოსი.

შეაადგინა თ.გოგინაშვილმა